პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

სამშაბათი, 23 ივლისი, 1946 წ. № 146 (7519). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთშია:

გამარჯვებული ხალხის ძალისა და ახალგაზრდობის დიდებული დღესასწაული. „პრავდის" მოწინავე (1-ლი გვერდი).
ვ. მ. მოლოტოვის საუბარი ბ-ნ გოტვალდთან (1-ლი გვერდი).
ვ. მ. მოლოტოვმა მიიღო ბ-ნი ლი (1-ლი გვერდი).
სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვ. მ. მოლოტოვმა საუზმე გამართა ბ-ნ ლის პატივსაცემად. (1-ლი გვერდი).
ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა (1-ლი გვერდი).
ფიზკულტურელთა საკავშირო პარადი მოსკოვში (მე-2 გვერდი).
პარტიული ცხოვრება (მე-3 გვერდი).
მთელი ძალები მოვახმაროთ მოსავლის უდანაკარგოდ აღებას! პირველი განაღებით მარცვლეულით მოვიხადოთ სახელმწიფო ვალდებულება! (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ამბები. დეპეშები (მე-4 გვერდი).

გამარჯვებული ხალხის ძალისა და ახალგაზრდობის დიდებული დღესასწაული

დიდებული და მშვენიერი იყო ფიზკულტურელთა გუშინდელი სრულიად საკავშირო პარადი „დინამოს" სტადიონზე. პარტიისა და ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის წინაშე, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა წინაშე, დედაქალაქის ათეულ ათასობით მშრომელთა თანდასწრებით, საბჭოთა ფიზკულტურელებმა — ყველა მოკავშირე რესპუბლიკის წარმოგზავნილებმა, — გვიჩვენეს თავიანთი მაღალი სპორტული ოსტატობა, თავიანთი ძალა, ჯანმრთელობა და სიმარჯვე, გვიჩვენეს საბჭოთა სპორტის ყველაზე უკეთესი, ყველაზე თვალსაჩინო მიღწევები.

მაგრამ მარტო სასპორტო ოსტატობით როდი იყო შესანიშნავი გუშინდელი დღესასწაული. მისი მნიშვნელობა გაცილებით უფრო დიდი და ფართოა. ეს იყო უწინარეს ყოვლისა საბჭოთა წყობილების უძლეველი ძალისა და იმ დიდი სიკეთის მძლავრი დემონსტრაცია, როგორიც არის სოციალიზმი მშრომელთა მილიონიანი მასებისათვის, ხალხისათვის.

ცნობილია, რომ ბურჟუაზიულ ქვეყნებსაც ცოტა სასპორტო რეკორდები როდი აქვთ. და მიუხედავად ამისა, გუშინდელის მსგავსი ფიზკულტურული პარადი შესაძლებელია მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში, გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანაში, იმ ქვეყანაში, სადაც ხალხი არის ცხოვრების ყოველგვარი კეთილდღეობის არამარტო შემოქმედი, არამედ ბატონპატრონიც. არაფერი ამისი მსგავსი არ არის და არც შეიძლება იყოს იმ ქვეყნებში, სადაც არსებობს ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია, სადაც უმცირესობა ცხოვრობს უმრავლესობის შრომის ხარჯზე, სადაც მშვენიერი სასახლეების გვერდით არსებობენ უბადრუკი ჯურღმულები—სილატაკისა და ტუბერკულოზის კერები. ბურჟუაზიულ ქვეყნებს შეუძლიათ დაიკვეხონ თავიანთი პროფესიონალი სპორტსმენების რეკორდებით, მაგრამ კაპიტალისტური წყობილების პირობებში ჯანმრთელობა და მასობრივი ფიზიკური კულტურა ვერასოდეს ვერ გახდება ხალხის კუთვნილება.

სოციალისტური წყობილების უდიდესი უპირატესობა და ნამდვილი დემოკრატიულობა ის არის, რომ იგი მშრომელთა მილიონებისათვის მისაწვდომს ხდის იმას, რაც ბურჟუაზიულ პირობებში უმცირესობის პრივილეგიას წარმოადგენს. გუშინდელი ფიზკულტურული პარადი იყო სოციალისტური საზოგადოების პირობებში ხალხთა ძალების აყვავების მკაფიო დემონსტრაცია. ათეულ ათასობით მაყურებელთა წინაშე გაიარეს ყველა მოკავშირე რესპუბლიკის სასპორტო დელეგაციებმა — ახალგაზრდა მუშებმა, გლეხებმა, დიდი რუსი ხალხის, უკრაინის, ბელორუსიის, ამიერკავკასიის, ბალტიისპირეთის, შუა აზიის, ჩრდილოეთის ხალხების შვილებმა. აი ესენი არიან ის უბრალო ადამიანები, რიგითი მშრომელები, რომელთათვისაც საბჭოთა წყობილებამ მისაწვდომი გახადა ჰარმონიული, ყოველმხრივი სულიერი და ფიზიკური განვითარების შესაძლებლობა.

ეს სიხალისე და სიმხნევე, ჯანმრთელობა და ძალა, რის დიადი დემონსტრაციაც გუშინდელი დღესასწაული იყო, შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ სოციალიზმის ქვეყნის ხალხს. ჩვენმა ხალხმა ღირსეულად ჩაიბარა ომის მკაცრი და მძიმე გამოცდა, ისტორიაში უმაგალითო გამარჯვება მოიპოვა, თავისი სახელი დაავგვირგვინა გმირი-მეომრისა და გმირი-მშრომელის დიდებით. საბჭოთა კავშირის ხალხებმა, რომლებიც შედუღაბებული არიან ერთიან ძმურ ოჯახად, შეკავშირებული არიან ურღვევი მეგობრობით — თავის ფიზკულტურულ დღესასწაულზე მკაფიოდ ცხადჰყვეს თავიანთი ძალების სიმტკიცე, თავიანთი ფიზიკური და სულიერი სიმძლავრე. მტკიცე და მამაცია საბჭოთა ხალხი. არ შეიძლება მისი დამარცხება, არ შეიძლება მისი გატეხა! ეს შესანიშნავი სპორტული დღესასწაული გამარჯვებული ხალხის ნამდვილი დღესასწაული იყო.

რა შესანიშნავი, ჯანსაღი, მხნე ახალგაზრდობა ეჯიბრებოდა ერთმანეთს გუშინ სტადიონზე სიმარდესა და სპორტულ ოსტატობაში! ეს იყო ჩვენი ხალხის, მისი მძლავრი შემოქმედებითი ძალის, მისი დაუცხრომელი წინსვლის მისწრაფების ცოცხალი და უტყუარი სიმბოლო. მომავალი ეკუთვნის იმას, რაც შეუჩერებლად ვითარდება, იზრდება, წინ მიდის. სწორედ ასეთია ჩვენი ქვეყანა, ჩვენი ხალხი.

საბჭოთა ქვეყანა დიდი სტალინის—საბჭოთა ხალხის ბრძენი ბელადის, ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელისა და შემოქმედის წინამძღოლობით შეუჩერებლად მიდის წინ. ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით ჩვენი ხალხი შეუდგა ომისშემდგომი ხუთწლედის განხორციელებას, რათა უფრო სწრაფად მოსპოს ომის შედეგები და კიდევ უფრო ძლიერი და უძლეველი გახადოს ჩვენი სოციალისტური სამშობლო. გუშინდელი საყოველთაო-სახალხო დღესასწაული იყო ამხანაგ სტალინისადმი ხალხის დიდი სიყვარულისა და ერთგულების მძლავრი და გულითადი მანიფესტაცია.

არ არსებობს ქვეყანაზე ისეთი სიმაგრე, რომლის აღებაც არ შეეძლოს საბჭოთა ხალხს, არ არის ისეთი სიძნელე და დაბრკოლება, რომლის დაძლევაც მას არ შეეძლოს. იმიტომ, რომ დაუშრეტელია ჩვენი ძალები. ურყევია ჩვენი წინსვლის მისწრაფება. უძლეველია ჩვენი დროშა — ლენინ-სტალინის დიადი და სახელოვანი დროშა!

„პრავდის" 22/VII მოწინავე.

ვ. მ. მოლოტოვის საუბარი ბ-ნ გოტვალდთან

22 ივლისს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს ვ. მ. მოლოტოვს საუბარი ჰქონდა ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ბ-ნ კ. გოტვალდთან. საუბარში მონაწილეობა მიიღეს ჩეხოსლოვაკიის მხრივ საგარეო საქმეთა მინისტრმა ი. მასარიკმა, საგარეო საქმეთა სამინისტროს სტატს-მდივანმა ბ-ნმა ვ. კლემენტისმა და ელჩმა სსრ კავშირში ი. გორაკმა, საბჭოთა კავშირის მხრივ — საგარეო ვაჭრობის მინისტრმა ა. ი. მიქოიანმა, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ა. ი. ვიშინსკიმ, ელჩმა ჩეხოსლოვაკიაში ვ. ა. ზორინმა და საგარეო საქმეთა სამინისტროს კოლეგიის წევრმა ა. პ. პავლოვმა.

ვ. მ. მოლოტოვმა მიიღო ბ-ნი ლი

22 ივლისს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვ. მ. მოლოტოვმა მიიღო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი ბ-ნი ტრიუგვე ლი.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვ. მ. მოლოტოვმა საუზმე გამართა ბ-ნ ლის პატივსაცემად

22 ივლისს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვ. მ. მოლოტოვმა და პ. ს. ჟემჩუჟინამ საუზმე გამართეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის ბ-ნ ტრიუგვე ლის პატივსაცემად.

საუზმეზე იყვნენ ბ-ნი ტრიუგვე ლი მეუღლითა და ქალიშვილით, ბ-ნ ლის თანმხლებნი ბ-ნი ვ. სტონემანი მეუღლით და ბ-ნი კლავენესი, აგრეთვე ნორვეგიის საქმეთა რწმუნებული ბ-ნი ე. კროგ-ჰანსენი.

საბჭოთა კავშირის მხრივ საუზმეზე იყვნენ ა. ი. ვიშინსკი, ზ. ა. ვიშინსკაია, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელი თანამშრომლები ფ. ფ. მოლოჩკოვი, ა. ა. არუთინიანი, ა. ა. როშჩინი, ბ. ფ. პოდცეროში, ვ. ნ. პავლოვი.

დარბაზობა პოლონეთის საელჩოში პოლონეთის ეროვნული განთავისუფლების კომიტეტის შექმნის წლისთავის გამო

გუშინ, 22 ივლისს, პოლონეთის ეროვნული განთავისუფლების კომიტეტის შექმნის მეორე წლისთავის გამო პოლონეთის ელჩმა სსრ კავშირში ბ-ნმა რაბებმ დარბაზობა გამართა.

დარბაზობას დაესწრნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი ვ. მ. მოლოტოვი, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ა. ი. ვიშინსკი, უმაღლესი განათლების მინისტრი ს. ვ. კაფტანოვი, გენერალ-პოლკოვნიკი ჩიბისოვი, ვიცე-ადმირალი ხარლამოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს კოლეგიის წევრი ა. პ. პავლოვი, მოსკოვს აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წევრნი და სხვა პირნი.

ლიტველი ხალხი დღესასწაულობს საბჭოთა ხელისუფლების მეექვსე წლისთავს

ვილნიუსი, 22 ივლისი. (საქდესი). ლიტვის უძველესი დედაქალაქი — ვილნიუსი სადღესასწაულოდ მოირთო. ყველგან, სახელმწიფო დაწესებულებებსა და სახლების ფასადებზე აღმართულია წითელი ალმები, პარტიისა და სსრ კავშირის მთავრობის ხელმძღვანელთა პორტრეტები, პლაკატები.

საკათედრო მოედანზე, ჩერნიახოვსკის მოედანსა და ქალაქის ქუჩებზე მოეწყო მასობრივი სახალხო სეირნობა. პუშკინის პარკში გაიმართა შეჯიბრება კალათბურთსა და ფრენბურთში. ვილნიუსის ბევრი მშრომელი მოვიდა წყალოსნობის სადგურებზე, სადაც საუკეთესო მენიჩბენი და მცურავნი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ სხვადასხვა დისტანციებზე.

სახალხო სეირნობა და მასობრივი სპორტული შეჯიბრება მიმდინარეობდა კაუნასში, კლაიპედაში, შაულიაისა და ლიტვის სხვა ქალაქებში.

ქალაქის „დინამოს" სტადიონზე მოეწყო სიმღერის ტრადიციული სახალხო დღესასწაული. ვეებერთელა სტადიონმა ყველა მაყურებელი ვერ დაიტია და ბევრი მათგანი მეზობელი სახლების სახურავებზე მოეწყო. 70 ათასმა ვილნიუსელმა ადგილები დაუთმო მომღერლებს, თვითონ კი სტადიონის ცენტრში და მის ირგვლივ განლაგდნენ. მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა ლიტვის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. ი. პალეცკისმა.

სიმღერის დღესასწაული დაიწყო გაერთიანებულმა გუნდმა, რომელიც 12 ათასი კაცისაგან შესდგება და რესპუბლიკის 192 საგუნდო კოლექტივს წარმოადგენს. ზეიმურად ჟღერს უძველეს ვილნიუსში საბჭოთა კავშირის ჰიმნი და ლიტვის სსრ ჰიმნი. დიდი ოსტატობით იქნა შესრულებული ლიტვურ ენაზე კანტატა სტალინზე (მუსიკა ალექსანდროვისა), სიმღერა „ვრცელია ჩემი სამშობლო ქვეყანა", სიმღერა „საბჭოთა ხალხზე", რომელიც დაწერილია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის პოეტ ა. ვენცლოვას მიერ, სიმღერა „საბჭოთა ლიტვა" და სხვა.

მაყურებლებმა განსაკუთრებული ყურადღებით მოისმინეს ლიტვური ხალხური სიმღერები „მზე ამოდიოდა", „კვება, კვება თავის ცხენი", და ლიტველი კომპოზიტორების თანამედროვე სიმღერები: შვედასისა — „წინ, თავისუფალო ლიტვა", ვაინუნასისა — „ახალგაზრდობის სიმღერა" და სხვ.

საღამოს გედიმინის ისტორიულ მთაზე რესპუბლიკის პიონერებმა დიდი კოცონი მოაწყეს. მხატვრული წაკითხვით, საბალეტო ნომრებითა და ეროვნული სიმღერა-ცეკვებით გამოვიდა მრავალი მოსწავლე.

ზეიმი ლატვიის დედაქალაქში

რიგა, 22 ივლისი. (საქდესი). ფიზკულტურელის დღე დაემთხვა საბჭოთა ლატვიის მე-6 წლისთავს. გუშინ ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის დედაქალაქი განსაკუთრებით ახალგაზრდულად და სადღესასწაულოდ გამოიყურებოდა.

დილიდანვე ქალაქში მოეფინა სიმღერებისა და მუსიკის ხმა. ფიზკულტურელთა კოლონები კომუნარების მოედნისაკენ გაემართნენ პარადზე. 11 საათსა და 30 წუთზე იქ ვეებერთელა ოთხკუთხედად დაეწყო პარადის შვიდი ათასამდე მონაწილე.

პარადის შემდეგ სპორტსმენთა კოლონები ვოლდემარის ქუჩით დაიძრნენ, სადაც ლატვიის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის შენობის წინ შეიკრიბნენ რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელები.

დღის 2 საათზე „დინამოს" სტადიონზე დაიწყო დიდი სპორტული დღესასწაული. დღესასწაულის მონაწილეებმა ცერემონიალური მარშით გაიარეს ტრიბუნების წინ. დღესასწაულის პროგრამის შესრულება დაიწყეს მოსწავლეებმა და ნორჩმა პიონერებმა, რომლებმაც შეასრულეს თავისუფალი ვარჯიშობანი. საყოველთაო აღტაცება გამოიწვია მომავალ საზღვაო ოფიცერთა — ახალგაზრდა ნახიმოველთა გამოსვლამ. გამოვიდნენ სასპორტო საზოგადოებათა „დინამოს", „სპარტაკისა" და „დაუგავას" წევრები. სპორტული დღესასწაული გაგრძელდა 5 საათამდე. საღამოს ქალაქის ყველა პარკში გაიმართა მასობრივი სახალხო სეირნობა.

ესტონელი ხალხის დღესასწაული

ტალინი, 22 ივლისი. (საქდესი). დიდი სახალხო ზეიმით აღინიშნა საბჭოთა ესტონეთის მეექვსე წლისთავი. ტალინის გამარჯვების მოედნის თავზე დღეს ისე ფრიალებდა წითელი დროშები, როგორც ექვსი წლის წინათ, როცა მშრომელთა ათასიანი კოლონები შეიკრიბა მოედანზე, რათა მისალმებოდა ესტონეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას.

ჯერ კიდევ წინადღეს ქალაქმა სადღესასწაულო იერი მიიღო. შენობები მორთეს ალმებით, პლაკატებითა და ტრანსპარანტებით. საღამოს შესდგა საზეიმო სხდომა. მოხსენება „საბჭოთა ესტონეთის 6 წელი" გააკეთა ესტონეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. ვარესმა. საზეიმო სხდომის მონაწილეებმა უდიდესი აღფრთოვანებით მიიღეს მისალმება ამხანაგ სტალინისადმი.

* * *

მოღრუბლულმა, წვიმიანმა დილამ როდი შეუშალა ხელი დღევანდელ ზეიმს. ფიზკულტურელთა პარადის შემდეგ შესდგა ტალინის მშრომელთა 50-ათასიანი მიტინგი: მიტინგზე სიტყვა წარმოსთქვა ესტონეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ვეიმერმა. ესტონელ ხალხს საბჭოთა ხელისუფლების მეექვსე წლისთავი მიულოცეს წითელი არმიისა და ფლოტის წარმომადგენლებმა.

დღესასწაულის ყველაზე ლამაზი მომენტი იყო რესპუბლიკური „სიმღერის დღე". ამაში მონაწილეობის მისაღებად რესპუბლიკის მაზრებიდან ჩამოვიდა 150-ზე მეტი საუკეთესო საგუნდო კოლექტივი. დღესასწაული დაიწყო ეროვნულ ტანისამოსში გამოწყობილი 5 ათასი მომღერლის სვლით ქალაქის ქუჩებში. უძველეს საგუნდო კოლექტივებს, როგორიც, მაგალითად, ტარტუს გუნდ „ვანემუინეს", თავიანთი დროშები მოჰქონდათ მუსიკალური ემბლემების გამოსახულებით. ქალაქგარეთ გრანდიოზულ ესტრადაზე მოეწყო კონცერტი, რომელშიც ნაჩვენები იქნა ეროვნული ხელოვნების საუკეთესო ნიმუშები.

შესავალი სიტყვა წარმოსთქვა ესტონეთის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. კაროტამმა, რომელმაც აღნიშნა, რომ „სიმღერის დღე", რომელიც პირველად იმართება საბჭოთა ხელისუფლების დროს, მოასწავებს ესტონელი ხალხის უძველესი ტრადიციის აღორძინებას. ეს დღე ეროვნული ხელოვნების ახალი აყვავების სტიმული იქნება.

ღია ცის ქვეშ დიდებულად აჟღერდა საბჭოთა კავშირის ჰიმნი და ესტონეთის სსრ ჰიმნი, რასაც ასრულებდა გაერთიანებული ხუთათასიანი გუნდი. შემდეგ ვაჟთა, ქალთა, ბავშვთა და შერეულმა გუნდებმა შეასრულეს ესტონელი კომპოზიტორების სიმღერები, მოცეკვავეებმა კი—ხალხური ცეკვები.

მიუხედავად ავდრისა, მინდორზე შეიკრიბა 60 ათასამდე მსმენელი, რომლებიც აღტაცებით მიესალმებოდნენ ხალხური ხელოვნების ოსტატებს.

ფიზკულტურელის საკავშირო დღე თბილისში

ფიზკულტურელის საკავშირო დღე, 21 ივლისი, თბილისში აღინიშნა მასობრივი სპორტული შეჯიბრებებით. სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში, ფიზიკური კულტურის პარკში, ლ. პ. ბერიას სახელობის „დინამოს" სტადიონზე, კიროვის პარკში და ჩოგბურთის მოედანზე თბილისის საუკეთესო ფიზკულტურელები და სპორტსმენები ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს სპორტის სხვადასხვა სახეებში.

სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში ჩატარდა შეჯიბრება ტანვარჯიშში, ქართულ და ფრანგულ ჭიდაობაში, კრივში. სპორტის ოსტატმა სოროკინმა წაიკითხა ლექცია „საჭადრაკო რადიომატჩი ინგლისსა და სსრ კავშირს შორის". პარკში მოწყობილი იყო მასობრივი სეირნობა, თამაშობა, ცეკვები და სხვ.

ლ. პ. ბერიას სახელობის „დინამოს" სტადიონზე შესდგა საფაბრიკო-საქარხნო სკოლების მოსწავლეთა სპარტაკიადის მონაწილეთა პარადი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 600 ფიზკულტურელმა. შემდეგ ჩატარდა მასობრივი შეჯიბრებანი სპორტის სხვადასხვა სახეებში.

ფიზიკური კულტურის პარკში მოეწყო მასობრივი შეჯიბრებანი ცურვაში, წყალბურთსა და სიმაღლიდან ხტომაში. ამ დღეს საქართველოს ახალი რეკორდი ბრასით ცურვაში 200 მეტრზე დაამყარა ახალგაზრდა ფიზკულტურელმა აკაკი მშვენიერაძემ.

კიროვის სახელობის პარკში გაიმართა შეჯიბრება კალათბურთსა და ფრენბურთში.

სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკის კინოესტრადის შენობაში შესდგა ქალაქ თბილისის კომკავშირული და ფიზკულტურული აქტივის საქალაქო კრება. მოხსენებით ფიზკულტურელის საკავშირო დღის შესახებ გამოვიდა საქართველოს ალკკ თბილისის კომიტეტის მდივანი სამხედრო დარგში ამხ. ე. გოგიაშვილი.

დასასრულ გაიმართა დიდი კონცერტი.

ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ირანის პრინცესა აშრაფ ფეხლევის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

დაჯილდოებულ იქნას პრინცესა აშრაფ ფეხლევი შრომის წითელი დროშის ორდენით თვალსაჩინო დამსახურებისათვის — საზოგადოებრივ ღონისძიებათა გატარებისათვის ირანში სახსრების შესაგროვებლად საბჭოთა კავშირის იმ ობოლი ბავშვების დასახმარებლად, რომელთა მშობლებიც დაიღუპნენ ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ ომის დროს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ნ. შვერნიკი**
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ა. გორკინი**

მოსკოვი, კრემლი. 1946 წ. 21 ივლისი.

ირანის პრინცესა აშრაფ ფეხლევის გადაეცა შრომის წითელი დროშის ორდენი

22 ივლისს კრემლში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. **ნ. მ. შვერნიკმა შრომის წითელი დროშის** ორდენი გადასცა პრინცესა **აშრაფ ფეხლევის**, რომელიც დაჯილდოებულია თვალსაჩინო დამსახურებისათვის — საზოგადოებრივ ღონისძიებათა გატარებისათვის ირანში სახსრების შესაგროვებლად საბჭოთა კავშირის იმ ობოლი ბავშვების დასახმარებლად, რომელთა მშობლებიც დაიღუპნენ ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ ომის დროს. (საქდესი).

ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მრავალშვილიანი დედების „სახელოვანი დედის" ორდენებითა და „დედობის მედლის" მედლებით დაჯილდოების შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წ. 18 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დაჯილდოვდნენ:

დედები, რომლებმაც შობეს და აღზარდეს ცხრა შვილი „სახელოვანი დედის" I ხარისხის ორდენით

1. **ზედგენიძე** ელენე ნიკოლოზის-ასული — ბორჯომის რაიონის სოფელ ბალანთის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
2. **ნიარ ჰუსეინ ყიზი—დიასახლისი**, სოფელი ამამლო, ბაშკიჩეთის რაიონი.

დედები, რომლებმაც შობეს და აღზარდეს რვა შვილი „სახელოვანი დედის" II ხარისხის ორდენით

1. **დიაკონაშვილი** სურათი მურთაზ-ასული — ბორჯომის რაიონის სოფელ დიდი მიტარბის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
2. **ზაზაშვილი** ეზო ანტონის-ასული—ადიგენის რაიონის სოფელ უდის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
3. **მედვედევა** პელაგია თედორეს-ასული — ბოგდანოვკის რაიონის სოფელ გორელოვკის კოლმეურნეობის წევრი;
4. **მხითარიანი** ორომსიმა გევორქის-ასული—ბოგდანოვკის რაიონის სოფელ თორიის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
5. **ჯავახიძე** მელანია დიმიტრის-ასული — ბორჯომის რაიონის სოფელ საკირის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

დედები, რომლებმაც შობეს და აღზარდეს შვიდი შვილი „სახელოვანი დედის" III ხარისხის ორდენით

1. **გოგოხია** მარიამ იასონის-ასული—წალენჯიხის რაიონის სოფელ ლიის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
2. **გუჩუა** აღათი კეკვას-ასული—წალენჯიხის რაიონის სოფელ ფახულანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
3. **კვარაცხელია** ზინობია ნიკოლოზის-ასული—წალენჯიხის რაიონის სოფელ მიქავას კოლმეურნეობის წევრი;
4. **ნორსოიანი** ანაიდა გრიგოლის-ასული — ბოგდანოვკის რაიონის სოფელ ოროჯალარის შაუმიანის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
5. **ხუქასიანი** სანდუხტ სტეფანეს-ასული — ბოგდანოვკის რაიონის სოფელ სათხის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
6. **სჩანიანი** ნვარდ ამბარცუმის-ასული — ბოგდანოვკის რაიონის სოფელ ოროჯალარის შაუმიანის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
7. **ქარდავა** ანა პახვალას-ასული—წალენჯიხის რაიონის სოფელ ლიის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
8. **ჯახჩიბანიანი** ერანაკ სარქისის-ასული — ბოგდანოვკის რაიონის სოფელ ოროჯალარის შაუმიანის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

დედები, რომლებმაც შობეს და აღზარდეს ექვსი შვილი „დედობის მედლის" I ხარისხის მედლით

1. **აბრალავა** ცხოფო ანტონის-ასული — წალენჯიხის რაიონის სოფელ ლიის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
2. **აბგარიანი** ვართ მკრტიჩის-ასული—ბოგდანოვკის რაიონის სოფელ განძის კოლმეურნეობის წევრი;
3. **ალაჯანიანი** ათთარ ბაგრატის-ასული — ბოგდანოვკის რაიონის სოფელ კათნატუს კოლმეურნეობის წევრი;
4. **ასტოიანი** სათენიკ მუქაელის-ასული — ბოგდანოვკის რაიონის სოფელ ეშტიის ანდრეევის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
5. **ბაბოიანი** ვარსენიკ ხაჩატურის-ასული — ბოგდანოვკის რაიონის სოფელ პატარა არაქლის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
6. **გოგოხია** ვერა სტეფანეს-ასული—წალენჯიხის რაიონის სოფელ ფახულანის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
7. **კუკავა** პაშა თემყვას-ასული—წალენჯიხის რაიონის სოფელ ფახულანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
8. **მარდაშევა** დომნა ესტატეს-ასული—წალენჯიხის რაიონის სოფელ ლიის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
9. **ნანავა** მინასა ბექიზის-ასული—წალენჯიხის რაიონის სოფელ ლიის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
10. **ფიფია** პაშა პახვალას-ასული—წალენჯიხის რაიონის სოფელ ლიის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
11. **ქარდავა** ლილი ბახვას-ასული—წალენჯიხის რაიონის სოფელ ლიის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
12. **ქობალია** პოლინა სოსრანის-ასული—წალენჯიხის რაიონის სოფელ ლიის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
13. **შონია** ანნა ბახვას-ასული—წალენჯიხის რაიონის სოფელ ფახულანის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
14. **შონია** ცაცუ ალექსის-ასული—წალენჯიხის რაიონის სოფელ ლიის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
15. **ჰანტურია** მელანია ჩაგუს-ასული—წალენჯიხის რაიონის სოფელ ლიის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

დედები, რომლებმაც შობეს და აღზარდეს ხუთი შვილი „დედობის მედლის" II ხარისხის მედლით

1. **აბაშიძე** ევგენია ანდრიას-ასული—ცაგერის რაიონის სოფელ ლაცორიის კოლმეურნეობის წევრი;
2. **ალავიძე** აგრაფენა ილიას-ასული—ცაგერის რაიონის სოფელ ზედა საირმის კოლმეურნეობის წევრი;
3. **ალავიძე** ლიდა გერასიმეს-ასული—ცაგერის რაიონის სოფელ ზედა საირმის კოლმეურნეობის წევრი;
4. **ალავიძე** მანა ივანეს-ასული — ცაგერის რაიონის სოფელ ზედა საირმის კოლმეურნეობის წევრი;
5. **ალავიძე** ნადეჟდა მეთოდეს-ასული—ცაგერის რაიონის სოფელ ზედა საირმის კოლმეურნეობის წევრი;
6. **ამბარიანი** ვარსენიკ პილოსის-ასული — ბოგდანოვკის რაიონის სოფელ ჯიგრაშენის კოლმეურნეობის წევრი;
7. **ანანიკიანი** ზარუნ მუშეღის-ასული—ბოგდანოვკის რაიონის სოფელ სათხის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
8. **არზუმანიანი** ზარუნ სტეფანეს-ასული — ბოგდანოვკის რაიონის სოფელ ხოჯაბეგის კოლმეურნეობის წევრი;
9. **არუთინიანი** აიასტან სარქისის-ასული — ბოგდანოვკის რაიონის სოფელ დიდი ხანჩალის კოლმეურნეობის წევრი;
10. **ბარღნიანი** შამენ ანდრიასის-ასული — ბოგდანოვკის რაიონის სოფელ სათხის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
11. **ბდოიანი** აიასტან მარტიროსის-ასული — ბოგდანოვკის რაიონის სოფელ ოჯაბეგის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
12. **ბდოიანი** ასანეთ მარტიროსის-ასული — ბოგდანოვკის რაიონის სოფელ ხოჯაბეგის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
13. **ბდოიანი** მანან აბგარის-ასული—ბოგდანოვკის რაიონის სოფელ ხოჯაბეგის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
14. **გოგორიანი** მარიამ ბაგრატის-ასული — ბოგდანოვკის რაიონის სოფელ დიდი ხანჩალის კოლმეურნეობის წევრი;
15. **ვართანიანი** გარან გაბრიელის-ასული — ბოგდანოვკის რაიონის სოფელ ხოჯაბეგის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
16. **ვართანიანი** გოჰარ არამის-ასული—ბოგდანოვკის რაიონის სოფელ ხოჯაბეგის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
17. **ვართაპეტიანი** ვერონ ბენიამინის-ასული —ბოგდანოვკის რაიონის სოფელ ხოჯაბეგის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
18. **ვართაპეტიანი** შუშანა არშაკის-ასული — ბოგდანოვკის რაიონის სოფელ დიდი ხანჩალის კოლმეურნეობის წევრი;
19. **ვართანიანი** შუშანა ნაზარის-ასული — ბოგდანოვკის რაიონის სოფელ დიდი ხანჩალის კოლმეურნეობის წევრი;
20. **თვარაძე** ანა გრიგოლის-ასული—ცაგერის რაიონის სოფელ ლაილაშის კოლმეურნეობის წევრი;
21. **კაბოსნიძე** მანეფა მელიტონის-ასული — ცაგერის რაიონის სოფელ ქვედა საირმის კოლმეურნეობის წევრი;
22. **კაბოსნიძე** სეფორე პავლეს-ასული—ცაგერის რაიონის სოფელ ქვედა საირმის კოლმეურნეობის წევრი;
23. **კაჯოიანი** აგიდა ადამის-ასული—ბოგდანოვკის რაიონის სოფელ დიდი ხანჩალის კოლმეურნეობის წევრი;
24. **კონდიანი** ანაიდა აკოფის-ასული—ბოგდანოვკის რაიონის სოფელ დიდი ხანჩალის კოლმეურნეობის წევრი;
25. **კოძოევა** ეფროსინე ივანეს-ასული—ცაგერის რაიონის სოფელ ლაილაშის კოლმეურნეობის წევრი;
26. **მანაგაძე** ოლინკა კონსტანტინეს-ასული—ცაგერის რაიონის სოფელ გაგულეჩის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
27. **სამთელაძე** მანა პეტრეს-ასული—ცაგერის რაიონის სოფელ ზედა საირმის კოლმეურნეობის წევრი;
28. **სანიკიძე** ბარბარე საყვარელას-ასული — ცაგერის რაიონის სოფელ ზედა საირმის კოლმეურნეობის წევრი;
29. **ტროფიმენკოვა** ირინა ნიკოლოზის-ასული —ბოგდანოვკის რაიონის სოფელ სპასოვკის კოლმეურნეობის წევრი;
30. **ქარსელაძე** ქეთევან ოქროპირის-ასული—ცაგერის რაიონის სოფელ თაბორის კოლმეურნეობის წევრი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ბ. ლეჟავა**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. ჟღენტიშვილი**

1946 წ. 14 ივნისი. ქ. თბილისი.

ფიზკულტურელთა საკავშირო პარადი მოსკოვში

21 ივლისს, მოსკოვში „დინამოს“ სტადიონზე შესდგა ფიზკულტურელთა საკავშირო პარადი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ათასობით სპორტსმენმა — საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკის წარმომადგენლებმა.

ეს იყო ახალგაზრდობის ნამდვილი დღესასწაული, სილამაზის, სიმამაცისა და ჯანმრთელობის დღესასწაული! დიდი საბჭოთა სახელმწიფოს ყველა კუთხიდან მოსკოვს ჩამოვიდნენ სასპორტო დელეგაციები, რათა მონაწილეობა მიეღოთ საზეიმო პარადში, ეჩვენებინათ ფიზიკური კულტურისა და სპორტის მიღწევები.

ივლისის მცხუნვარე დილას ათიათასობით ჭაბუკი და ქალიშვილი ლამაზ სასპორტო კოსტუმებში გამართა ლენინგრადის გზატკეცილისაკენ. მილიონობით მოსკოველი ადევნებდა თვალყურს ახალგაზრდა სპორტსმენთა საზეიმო სვლას, ოვაციებით შესცქეროდა მათ მზემოკიდებულ სხეულს. ჩრდილოეთის — კარელიის შვილები, მცხუნვარე ტაჯიკეთის მცხოვრებნი, რუსები, უკრაინელები, ბელორუსები—თექვსმეტივე მოკავშირე რესპუბლიკის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ ფიზკულტურელის საკავშირო დღის ზეიმში.

საბჭოთა ხალხს მხურვალედ უყვარს თავისი ახალგაზრდობა. მილიონობით ახალგაზრდა სპორტსმენი, — ჭაბუკები და ქალიშვილები—დიდი სამამულო ომის დღეებში მამაცურად იბრძოდა ფრონტებზე და თავდადებულად შრომობდა ქარხნებსა და მინდვრებში გამარჯვებისათვის, ჩვენი სამართლიანი საქმის ზეიმისათვის. ათასობით სპორტსმენს, ისტორიული ბრძოლების, მტრის ზურგში გაბედული რეიდების მონაწილეებს ღირსეულად უმშვენებს მკერდს მთავრობის ჯილდოები. ჩვენი ქვეყანა იცნობს სპორტსმენებს, რომელთაც საბრძოლო დამსახურებისათვის მიენიჭათ საბჭოთა კავშირის გმირის საპატიო წოდება. გამბედაობამ, ამტანობამ, სიმტკიცემ, დისციპლინიანობამ — ამ თვისებებმა, რომლებსაც ფიზკულტურა ნერგავს, ფასდაუდებელი სამსახური გაგვიწია გერმანელ ფაშისტ-დამპყრობთა წინააღმდეგ ომში.

საბჭოთა სპორტი, რომელშიც მილიონობით ადამიანია ჩაბმული, მშრომელთა სიყვარულითა და პოპულარობით სარგებლობს. ჩვენი სპორტსმენები მამაცურად ომობდნენ, ახლა ისინი სასახელოდ შრომობენ ქალაქებში, სოფლებში, ახალ მშენებლობებზე და მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ასრულებენ ახალი ხუთწლედის გრანდიოზულ ამოცანებს, რომლებიც დასახულია დიდი სტალინის მიერ.

საბჭოთა სპორტსმენებმა, რომლებიც დაუღალავად მუშაობენ თავიანთი ოსტატობის ამაღლებისათვის, ღირსეულად ჩააბარეს გამოცდა საერთაშორისო ასპარეზზეც. ჩვენმა ფეხბურთელებმა, მოჭიდავეებმა, მოციგურავეებმა, მოჭადრაკეებმა მთელი რიგი ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს საზღვარგარეთ, სახელი მოუხვეჭეს საბჭოთა სასპორტო დროშას.

...მოსკოვის „დინამოს“ სტადიონი— ჩვენი ქვეყნის სპორტული ახალგაზრდობის სიამაყე—არასოდეს არ ყოფილა ასე მორთული, როგორც ამ სადღესასწაულო დღეს. გიგანტური სტადიონი თავისი ცისფრად მოელვარე ტრიბუნებით შეიძლება შევადაროთ ვეებერთელა ფირუზის ვაზას, რომელიც პირამდე ავსებულია ზაფხულის საუცხოო ყვავილებით. ყვავილების შთაბეჭდილებას ჰქმნიდნენ ფერადფერად კოსტუმებში გამოწყობილ ფიზკულტურელთა კოლონები.

პარადის დაწყებამდე დიდი ხნით ადრე, ივლისის მზის სხივებით გაბრწყინებული სტადიონის ტრიბუნები აივსო მრავალრიცხოვანი სტუმრებით. აქ მოვიდნენ მოსკოვის წარჩინებული ადამიანები — საწარმოთა სტახანოველები, მეცნიერები, ხელოვნების წარმომადგენლები, წითელი არმიის ოფიცრები და გენერლები. საბჭოთა ახალგაზრდობის სტუმრებს შორის არიან იუგოსლავიის, ჩეხოსლოვაკიის, ბულგარეთის, პოლონეთის, საფრანგეთის, იტალიის, ალბანეთის, ნორვეგიის, ირანის, ფინეთისა და შვეციის სპორტსმენთა დელეგაციები. ლოჟებში არიან ჩეხოსლოვაკიის მთავრობის დელეგაციის წევრები ბ-ნები: კლემენტ გოტვალდი, ი. მასარიკი, ვ. კლემენტისი, დიპლომატიური კორპუსის წევრები, ირანის პრინცესა აშრაფ ფეხლევი თავისი ამალით, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი ტრიუგვე ლი, საბჭოთა და უცხოეთის პრესის წარმომადგენლები.

სტადიონის უზარმაზარ პინდორზე ფრიალებენ სასპორტო საზოგადოებათა უამრავი აბრეშუმის დროშები. სტადიონის სამხრეთ ტრიბუნის თავზე აღმართულია მოკავშირე რესპუბლიკათა 16 გერბი. სსრ კავშირის სახელმწიფო გერბის ორივე მხარეზეა საბჭოთა სახელმწიფოს დიდი შემქმნელებისა და მშენებლების — ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის პორტრეტები.

მაგრამ, აი ათობით ათასი ადამიანის თვალი მიიპყრო ცენტრალურმა ლოჟამ, რომელშიც გამოჩნდნენ ამხანაგი სტალინი, ამხანაგები მოლოტოვი, ანდრეევი, ბერია, ვოროშილოვი, ჟდანოვი, კაგანოვიჩი, მალენკოვი, მიქოიანი, შვერნიკი, ვოზნესენსკი, ბულგანინი, კოსიგინი. სტადიონზე გრიალებს აღფრთოვანებული ოვაცია საბჭოთა ხალხის დიდი ბელადისა და მასწავლებლის პატივსაცემად. ათეულ ათასობით ადამიანი მქუხარე ტაშით მიესალმება ამხანაგ სტალინს, რითაც გამოხატავს თავის უსაზღვრო სიყვარულსა და ერთგულებას. „ვაშას“ ძახილი გუგუნებს ტრიბუნებზე. მთავრობის ლოჟაში იწვევენ ჩეხოსლოვაკიის მთავრობის დელეგაციის წევრებს ბ-ნ კ. გოტვალდის მეთაურობით.

დღის 2 საათია. მოედანზე უძრავად დგანან პარადის მონაწილეთა მხატვრული სწორკუთხედები. მოედნის ცენტრისაკენ მიდიან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა სრულიად საკავშირო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. რომანოვი, საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. მიხაილოვი, პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე ამხ. კუზნეცოვი. პარადის სარდალი პოლკოვნიკი კუზნეცოვი პატაკს აძლევს პარადისათვის სპორტსმენთა მზადყოფნის შესახებ.

ამხ. რომანოვი მიესალმება პარადის მონაწილეებს და ულოცავს დღესასწაულს. შემდეგ იგი ადის ცენტრალურ ტრიბუნაზე და მისასალმებელი სიტყვით მიმართავს ფიზკულტურელებს.

სტადიონზე გაისმის საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნის დიდებული მელოდია.

ფანფარები იუწყებიან პარადის მონაწილეთა საზეიმო მარშის დაწყებას.

ალისფერი დროშებით გარშემორტყმული გამოჩნდება საბჭოთა კავშირის უზარმაზარი გერბი, რომელსაც თან ახლავან ფიზკულტურელები — თექვსმეტივე რესპუბლიკის წარმომადგენლები. კოლონა ჩაუვლის მთავრობის ტრიბუნას. საბჭოთა სპორტსმენები დღეს პატაკს იძლევიან გასული წლის თავიანთი მიღწევების შესახებ. მათ ბევრი რამ აქვთ საამბობი. ეს წელი საბჭოთა სპორტის ტრიუმფის წელი იყო. ჩვენი სპორტსმენების გამარჯვებათა ბრწყინვალე ნუსხა გახსნეს მოსკოვის „დინამოს“ გუნდის ფეხბურთელებმა, რომლებმაც საბჭოთა ფეხბურთის სახელი განამტკიცეს თავიანთი გამოსვლებით ლონდონის, კარდიფის, გლაზგოს სტადიონებზე. ნორვეგიის სტადიონებზე აღფრთოვანებით უკრავდნენ ტაშს ციგურებით რბენის გამოჩენილ ოსტატს ტატიანა კარელინას, რომელმაც ორი ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა. იუგოსლავიაში, ბულგარეთში, რუმინეთში, ალბანეთსა და ფინეთში სპორტულ ბრძოლებში გამარჯვება მოიპოვეს „ცდკას“, თბილისის „დინამოს“, ლენინგრადის „ზენიტის“, მოსკოვის „ტორპედოსა“ და „სპარტაკის“ ფეხბურთელებმა. პარიზელებმა თავიანთი აღფრთოვანება გამოსთქვეს საბჭოთა სპორტსმენი ქალების — „ლუმანიტეს“ კროსის პრიზიორების ოსტატური რბენის გამო. სპორტული ჩეხოსლოვაკია და ფინეთი განცვიფრებაში მოიყვანა საბჭოთა მტანგისტების გამოსვლამ. მთელი მსოფლიოს ჭადრაკის მოყვარულნი მხურვალედ ულოცავდნენ საბჭოთა მოჭადრაკეებს, რომლებმაც მოიგეს რადიომატჩები სსრ კავშირი—ამერიკის შეერთებული შტატები და სსრ კავშირი—დიდი ბრიტანეთი.

ტრიბუნებიდან მხურვალედ მიესალმებიან რუსეთის ფედერაციის ფიზკულტურელებს. ჭაბუკთა თეთრი კოსტუმები, ქალიშვილთა რუსული სტილით მოქარგული კაბები, ყვავილების თაიგულები, დროშების ფერად-ფერადი აბრეშუმი — ყოველივე ეს [illegible]

მოჩნდნენ უკრაინის ფიზკულტურელები. უკრაინა! რამდენი სასახელო ფურცელი ჩასწერეს ამ რესპუბლიკის შვილებმა ჩვენი სამშობლოს ისტორიაში. იმათ შორის, ვინც ამ მორთულ კოლონაში მოაბიჯებს, ბევრია წითელი არმიისა და გენერალ კოვპაკის პარტიზანული რაზმების ყოფილი მებრძოლები. ახლა ისინი მშვიდობიანი ადამიანები არიან. ისინი აღადგენენ მთელი ქვეყნის სიამაყეს— დნეპროჰესს, დონბასის აღორძინებული შახტებიდან ამოაქვთ ქვანახშირი, ამუშავებენ ნაყოფიერ ყანებს, ზაპოროჟიეს ბრძმედებში ადნობენ ფოლადს, ხელახლად აშენებენ გერმანელი ოკუპანტების მიერ გაჩანაგებულ ქალაქებსა და სოფლებს.

მაღლა აღმართულა ვეებერთელა დროშა, რომელსაც გიგანტური ასოებით აწერია: ბსსრ. ამ დროშით მოდიან ნორჩი წარმომადგენელნი ბელორუსიისა, რომელიც სამი უმძიმესი წლის განმავლობაში იტანჯებოდა გერმანელ ოკუპანტთა უღელქვეშ, მაგრამ არ დანებებულა და დაამარცხა მტერი, ბელორუსი ხალხის ერთგული შვილები მამაცურად იბრძოდნენ თავისი სამშობლოს ღირსებისა და დამოუკიდებლობისათვის პარტიზანულ რაზმებში, წითელი არმიის რიგებში და გვიჩვენეს სამშობლოსათვის მამაცური სამსახურის ნიმუშები.

ლამაზია ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფიზკულტურელთა მარში. მათ თან მოიტანეს მზიური აღმოსავლეთის მომჯადოებელი სიმშვენიერე. საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი განთქმული არიან თავიანთი ძალოსნებითა და გიმნასტებით. ტრიბუნებზე მყოფმა სტუმრებმა იცნეს მთელს ჩვენს ქვეყანაში სახელგანთქმული სპორტსმენი სიმძიმეთა აწევი ამბარცუმიანი, გიმნასტები ჯორჯაძე, თაყაიშვილი და სხვები. საბჭოთა სპორტის ისტორიაში სახელოვანი ფურცლები ჩასწერეს საქართველოს სპორტსმენმა ქალებმა—მსოფლიო რეკორდსმენმა ბადროს ტყორცნაში ნინო დუმბაძემ, სსრ კავშირის რეკორდსმენმა რბენაში ელენე გოკიელმა და სხვებმა.

ისე, როგორც ყოველთვის, საინტერესო სანახაობას წარმოადგენდნენ შუა აზიის რესპუბლიკების ფიზკულტურელთა კოლონები. თურქმენ მოჯირითეებს ახურიათ თეთრი ფაფახები, ყაზახ ქალთა წითელ ქუდებს ამშვენებს ფრთის ჯიღები. უზბეკ ქალთა მოქარგული ქუდებიდან გადმოშლილან ოსტატური ნაწნავები.

კარელია-ფინეთის რესპუბლიკის ფიზკულტურელებს, რომელთაც აცვიათ ჩრდილოეთის მწვანე-თეთრი ფერის ტანსაცმელი, სცვლიან მოლდავეთის მზემოკიდებული სპორტსმენები. მტკიცე გიმნასტური ნაბიჯით მოდიან ბალტიისპირეთის ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკების ფიზკულტურელები — ერთიანი დიადი საბჭოთა კავშირის შვილები.

მქუხარე ტაშით ეგებება სტადიონი მოსკოველ მოსწავლეთა მხიარულ ნაკადს. ბავშვები მოდიან ყვავილების თაიგულებით. მათ ახლახან დაამთავრეს სასწავლო წელი, ბევრმა უკვე დაისვენა პიონერთა ბანაკებში, იყო ტურისტულ მოგზაურობაში. ეს ჩვენი რეკორდსმენებისა და ჩემპიონების ღირსეული ცვლაა.

ფერად-ფერადი აბრეშუმის ტალღამ გადაუარა სტადიონს. მოდიან თავიანთი სასპორტო კლუბების დროშებით პროფკავშირელი ფიზკულტურელები, ჩვენი ქვეყნის ფიზკულტურელთა მრავალმილიონიანი არმიის წარმომადგენლები.

მშვენიერ წვრთნას ცხადჰყოფენ ჩვენი ქვეყნის ორი უძველესი, ორ- [illegible]

ძალას ცხადჰყოფენ. მათი სახეები მამაცური და მტკიცეა. მათ ღირსეულად შეასრულეს თავიანთი ვალი დედა-სამშობლოს წინაშე და მისი პირველი დაძახებისთანავე მზად არიან დადგნენ სამშობლოს საზღვრების დასაცავად.

პარადის მონაწილეთა საზეიმო სვლა დამთავრდა. ერთი წუთით ჩამოვარდნილი სიჩუმე მუსიკალურმა მელოდიამ დაარღვია. იწყება ტრადიციული სასპორტო გიმნასტური გამოსვლები.

სტადიონზე გაისმის ბავშვების მხიარული კისკისი. 1200 ბავშვი ღია ფერის საზაფხულო ტანსაცმლით, ყვავილებით ხელში მიეშურება ტრიბუნისაკენ, სადაც ამხანაგი სტალინია. ბავშვები გვიჩვენებენ, თუ როგორ იზვრდება და მხიარულობს საბჭოთა ნორჩი თაობა. მოხდენილად და კოხტად ასრულებენ ისინი სახუმარო თავისუფალ მოძრაობას, მსუბუქად, ხალისიანად, მხიარულად ცეკვავენ. მაყურებელთა თვალწინ მოულოდნელად აღიმართება გიგანტური პირამიდა, რომელიც თავისი ფორმით მოგვაგონებს ქათქათა თეთრ გემს ნაირფერადი ალმებით მორთულ ანძებიანად. საერთო ჯგუფს გამოეყო ორი პაწაწა და ვეებერთელა თაიგულებით აირბინა ტრიბუნაზე ამხანაგ სტალინთან. იოსებ ბესარიონის-ძე ეხვევა და ჰკოცნის მათ. სტადიონზე მქუხარე ოვაციაა.

გამოდიან საბჭოთა ლიტვის სპორტსმენები, რომლებიც მარჯვედ და მოხდენილად ვარჯიშობენ. საგიმნასტო ჯოხები ლიტველ ჭაბუკთა ხელში იქცევა ხან ნიჩბებად, ხან ძელებად, რომლებზედაც ისინი რთულ ვარჯიშს ასრულებენ.

ლიტველებს სცვლის ესტონეთის ახალგაზრდობა, რომელმაც გასულ წელს დიდ წარმატებებს მიაღწია თავის რესპუბლიკაში ფიზკულტურული მოძრაობის განვითარებაში. ესტონელი კალათბურთელების სახელი მთელ მსოფლიოშია ცნობილი. მაყურებლები თვალნათლივ ხედავენ რა ოსტატურად ფლობენ ბურთს ესტონელი სპორტსმენები.

წარმატებით ჩატარდა ლატვიის ფიზკულტურელთა გამოსვლა. მოხდენილად და მარჯვედ, ჩოგნებით ხელში ასრულებენ ვაჟები ჰოკეის თამაშის იმიტაციას. ჩოგნებიდან ისინი აკეთებენ რამდენიმე კორიდორს, რომლებშიც სწრაფად შემოირბენენ ლატვიელი ჩოგბურთელი ქალები. რაკეტების ლამაზი მოძრაობით ისინი გვიჩვენებენ ჩოგბურთის კორტზე თამაშს.

2 ათასმა ფიზკულტურელმა აავსო ვეებერთელა მწვანე ხალიჩა. ესენი არიან ჩვენი ქვეყნის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები — მომავალი ინჟინრები, გეოლოგები, ასტრონომები, ფიზიკოსები, ექიმები, მსახიობები. 4 ათასი ხელი ერთდროულად აღიმართა, ისინი მუსიკის ჰანგებზე ასრულებენ ლამაზ მოძრაობათა მთელ სერიას. ვერცხლის რკალები, რომლებითაც სტუდენტები გამოდიან, მათ ხელში იქცევა იმპროვიზებულ ღერძებად. ამ ღერძებზე ერთდროულად ვარჯიშობს ათობით გიმნასტი.

სწრაფი ტემპით ჩატარდა მოლდავეთის ახალგაზრდობის გამოსვლა. მტკიცე და ზუსტია ჭაბუკების მოძრაობა, რომლებიც გვიჩვენებენ ხიშტითა და რაპირით ბრძოლას. გრიგალისებრი ტემპერამენტით ცეკვავენ ფერად-ფერად ტანსაცმელში გამოწყობილი მოლდაველი ქალიშვილები.

ფართო და მრავალფეროვანია ჩვენი სამშობლო. როგორც კი მიიმალა სამხრეთის ელვარე ყვავილები, თით- [illegible]

ანიჩკოვის ხიდზე კლოდტის შესანიშნავი სკულპტურების სილუეტები.

— ლენინის ქალაქის ფიზკულტურელთაგან დიდ სტალინს — ჩვენი სალამი!

ასე იწყებენ თავიანთ გამოსვლას ლესგაფტის სახელობის ლენინგრადის ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტები. შეკრებილთა თვალწინ საგიმნასტო დარბაზია. ღერძებზე, ორძელებზე, რგოლებზე ვარჯიშობენ ლენინგრადის საუკეთესო გიმნასტები.

ბევრი გამოგონება და მხატვრული გემოვნება გვიჩვენეს ტაჯიკეთისა და ყირგიზეთის სპორტსმენებმა.

შემდეგ რამდენიმე წუთის განმავლობაში სტადიონზე ბატონობს საზოგადოება „დინამოს“ თეთრ-ცისფერი ფერები. „დინამოს“ სპორტსმენები უდიდესი პოპულარობით სარგებლობენ არა მარტო ჩვენს ქვეყანაში. დღეს აქ შეკრებილან საზოგადოების ჩემპიონები და რეკორდსმენები — ყველა სახის „სასპორტო იარაღის“ წარმომადგენლები. მსუბუქ კონსტრუქციებზე ქალიშვილებმა შეჰქმნეს „დინამოს“ ცოცხალი სასპორტო ემბლემები. ამ ფონზე გამოდიან ბავშვები—„ნორჩი დინამოელის“ აღზრდილები. მსუბუქი და ძლიერი მოძრაობა გვიჩვენეს ურომსტყორცნელმა ვაჟებმა.

მუსიკის ჰანგებს ფარავს მოტოციკლების გუგუნი. ისინი მოდიან სარბენ გზაზე. თვითეულ მანქანაზე აღმართულია მთელი აკრობატული ნაგებობა — რამდენიმე კაცისაგან შემდგარი ცოცხალი პირამიდები. ამავე დროს მოედნის შუაგულში საგიმნასტო რგოლებზე რთულ ვარჯიშობას ასრულებს სსრ კავშირის ჩემპიონი ტანვარჯიშში გალინა ურბანოვიჩი. დინამოელები ეწყობიან მჭიდრო კოლონად, რომელიც უეცრად ორად იყოფა, და საბრძოლო მარშის ჰანგებზე ამ კორიდორში მოდიან შაშხანიანი მებრძოლები. „დინამოს“ სპორტსმენთა რიგებიდან გამოვიდა ათასობით გმირი მებრძოლი, რომლებიც პირველნი გაუმკლავდნენ მტერს ჩვენი სამშობლოს საზღვრებზე.

ამხანაგ სტალინის პორტრეტიანი შესანიშნავი ხალიჩის ფონზე გვიჩვენებს თავის ფიზკულტურულ ოსტატობას თურქმენეთის ახალგაზრდობა. თურქმენმა ჭაბუკებმა მოსკოველებს უჩვენეს სპორტული ეროვნული ჭიდაობა.

უზბეკებმა ტრადიციის მიხედვით დღესასწაულზე თან მოიტანეს ბამბის ქათქათა თეთრი კოლოფები ფერგანის პლანტაციებიდან და ფერადი ყვავილები უზბეკეთის ბაღებიდან. თორმეტმა ჭაბუკმა უზბეკმა შეასრულა ეროვნული ცეკვა კასტანიეტებით და ვეებერთელა მოხატული სინებით, რომლებსაც ისინი იშვიათი ოსტატობით ათამაშებენ.

ალმა-ატის ხეხილის ბაღების ნაყოფების ვეებერთელა მუქი წითელი მაკეტებით ასრულებენ გიმნასტიკურ მოძრაობას ყაზახეთის ფიზკულტურელები.

იწყება შეჯიბრება სიმძიმეთა აწევაში. სპორტის დამსახურებული ოსტატი გრიგოლ ნოვაკი ორივე ხელით სწევს 136,5 კილოგრამს. ამით მან ბევრად გადააჭარბა მსოფლიო რეკორდს.

თეთრ-ცისფერმა ტალღამ აავსო მთელი მოედანი. საზოგადოება „შრომითი რეზერვების“ 3 ათასმა ნორჩმა სპორტსმენმა განსაცვიფრებელი სიზუსტით, მუსიკალური რიტმით შეასრულა ზედიზედ რამდენიმე მოძრაობა. თვალი ვერ ასწრებს შენიშნოს, [illegible]

სპორტსმენებმა. გიმნასტთა ჯგუფის ცენტრში ვერცხლის ბურთის სრიალა ზედაპირზე ვირტუოზულ ვარჯიშს ასრულებენ სომხეთის საუკეთესო აკრობატები სერანიანი და აზატიანი.

სიხალისე, სიმარჯვე, ძალა იგრძნობა საქართველოს სპორტსმენთა ყველა მოძრაობაში, რომლებმაც მისალმებით მიმართეს ამხანაგ სტალინს. საქართველომ მისცა სპორტს გიმნასტიკის მაღალი ხარისხის ოსტატები. მაყურებლები დაძაბულად უყურებენ სპორტის დამსახურებული ოსტატის ჯორჯაძისა და სპორტის ოსტატ თაყაიშვილის ბრწყინვალე ვარჯიშს ღერძებზე. ფარებზე ხმლების ჭახაჭუხი თან ახლავს ქართველ მეომართა ცეკვას. ახალგაზრდობის სადიდებელი სიმღერით ქართველები სტოვებენ მოედანს.

კვლავ ბავშვები. ესენი არიან ნავთის ქალაქის ბაქოს პატარა ფიზკულტურელები. დიდებთან ერთად ისინი სწრაფი ტემპით ასრულებენ გიმნასტიკურ ვარჯიშს.

წარუშლელ შთაბეჭდილებას სტოვებს პროფკავშირთა სასპორტო საზოგადოებების ფიზკულტურელთა გამოსვლა. ისინი ისე ბევრნი არიან, რომ გგონია სტადიონის მოედანი ვერ დაიტევს ყველას. როცა მათს ოქროსფერ-ცისფერ ტანსაცმელს უყურებ, თვალწინ წარმოიშვება მწიფე ჭვავის ვეებერთელა ყანა. ერთი წუთის შემდეგ სტადიონზე უკვე ცისფერი ზღვა ღელავს. მაღალი ტალღის მწვერვალზე წუთით გამოჩნდებიან და კვლავ იმალებიან აკრობატ ქალიშვილების ფიგურები.

მოედანზე ფერები იცვლება. ახლა ქალიშვილები, რომლებსაც მორთულობა გამოუცვლიათ, მინდვრის დიდ ყვავილებს ჰგვანან. ისინი ცეკვავენ ჩაიკოვსკის საგაზაფხულო მუსიკის ჰანგებზე.

200 ათას სპორტსმენს წარმოადგენენ დღეს ბელორუსიის ფიზკულტურელები, რომელნიც პარადზე გამოდიან. ბელორუსული ეროვნული ცეკვის „ბულბას“ სწრაფ ტემპში ტრიალებენ მორთული ქალიშვილები და ჭაბუკები. ტრიბუნების წინ აღიმართება ფიზკულტურელთა სხეულებით დაწნული ყვავილებით სავსე ვეებერთელა ვაზა. ვაზა ყოველ წამს იცვლის თავის ფორმას. მას აგვირგვინებს ცოცხალი სკულპტურული ჯგუფი, რომელიც სიჭაბუკეს განასახიერებს.

სურათები კინემატოგრაფიული სისწრაფით იცვლება. აი მწვანე ხალიჩაზე უკვე აღიმართა დნეპროჰესის გიგანტური ჯებირი. მქუხარე ნაკადით ეხეთქება წყალი მის ბეტონის კედლებს. პირამიდა, რომელიც დნეპროჰესის ყველასათვის ნაცნობ კონტურებს ასახავს, განსაკუთრებული ოსტატობით არის გაკეთებული, და მაყურებლები აღფრთოვანებით უკრავენ ტაშს უკრაინის ახალგაზრდობის მოხერხებულ გამოგონებას.

მაღალი ოსტატობა ცხადჰყვეს სტალინის სახელობის ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტებმა. ყოველი მათი მოძრაობა სავსებით დამთავრებული და დახვეწილია. ძნელი წარმოსადგენია, თუ რა მრავალნაირი ფიგურა შეიძლება შეიქმნას ადამიანის სხეულის მოძრაობისაგან.

საბჭოთა სპორტსმენების გიმნასტიკური ოსტატობის ჩვენებას ამთავრებენ რუსეთის რესპუბლიკის ფიზკულტურელები.

— რუსი ხალხისაგან დიდ სტალინს სალამი!—გაისმის სტადიონზე.

ცენტრალური ტრიბუნის წინ გადაიშლება დიდი მუქი წითელი ხავერდის მარაო. მის ფონზე გიმნასტიკის 9 ოსტატი ასრულებს თავისუფალ ვარჯიშს. მარაო იკეცება და გამოჩნდება ხუთი ყვავილნარი, რომლებიც იქვე იშლება და ყვავილებს ფანტავს მთელს მოედანზე. ქალიშვილებს ხელში უჭირავთ ფერადი ქოლგები, გვირილები და ლილილები.

დღესასწაულის დროს სტადიონზე შესდგა საუკეთესო საბჭოთა მოჭიდავეების, ძალოსნების, მოკრივეების შეჯიბრება. ჩატარდა საფინალო ბრძოლები სსრ კავშირის ჩემპიონის წოდებაზე კრივში. ცენტრალური ბრძოლა იყო მძიმე წონის მოკრივეების კოროლიოვისა და ნავასარდოვის შეხვედრა, რომელშიც გამარჯვება კვლავ მოიპოვა სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონმა ნიკოლოზ კოროლიოვმა. სსრ კავშირის ჩემპიონის წოდება 1946 წლისათვის ნახევრად საშუალო წონაში მიენიჭა შჩერბაკოვს და უმჩატეს წონაში სეგალოვიჩს.

ინტერესით ადევნებდნენ თვალყურს მაყურებლები მძლეოსანთა შეჯიბრებას სხვადასხვა დისტანციებზე რბენაში. მაღალი ოსტატობა უჩვენა მაყურებელთ სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ნინო დუმბაძემ. ტარტუს უნივერსიტეტის სტუდენტმა ხ. ლიპმა ახალი საკავშირო რეკორდი დაამყარა ბირთვის ტყორცნაში — 16 მეტრი და 12 სანტიმეტრი.

სტადიონზე შესდგა ჩვენი ქვეყნის ფეხბურთელთა უძლიერესი გუნდების—„ცდკა“-სა და მოსკოვის „დინამოს“ ამხანაგური შეხვედრა. მატჩი დამთავრდა დინამოელთა გამარჯვებით ანგარიშით 1:0.

* * *

დღესასწაული დამთავრებულია. პარადის ათეულათასობით მონაწილენი და სტუმრები ფეხზე დგებიან, მქუხარე ხანგრძლივ ოვაციას უმართავენ და მიესალმებიან დიდ ბელადსა და მასწავლებელს ამხანაგ სტალინს.

(საქტესი).

ფიზკულტურის დღე თბილისში. სურათზე (მარცხნიდან მარჯვნივ) [illegible]

პარტიული ცხოვრება

ხუთწლიანი გეგმის პროპაგანდა მეფოლადეებთან

ზესტაფონელი მეტალურგები მეოთხე სტალინური ხუთწლედის ამოცანებით ცხოვრობენ, მათი განხორციელებისათვის მუშაობენ. საგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობის მთელი არსენალი ამ საქმეს ემსახურება.

აგიტაციით დავიწყოთ. ქარხანაში 109 აგიტატორი ეწევა ახალი ხუთწლედის კანონის ახსნა-განმარტებას. განსაკუთრებით გამოირჩევა დნობის ოსტატის, ორდენოსან გ. დიაკონიძის, ეკონომისტ ქეთო გველესიანის, ნინო დოგოპოლიუკის საუბრები.

ამხ. დიაკონიძე საუბრისათვის წინასწარ ემზადება. დახელოვნებული აგიტატორის ხელში გაწყენებული ციფრები ცოცხლდებიან. ის მოხდენილად იყენებს თვალსაჩინოებას, საუბრისას სარგებლობს დიაგრამებით, რუკით. აგიტატორის საუბარში ასახულია ქარხნის სადნობი საამქროს ყოველდღიური ამბები. მისი ცვლის მუშებმა ჩინებულად იციან ქარხნის პერსპექტივები, იციან, თუ როგორი იქნება ქარხანა 1950 წელს, როგორ გაიზრდება ლითონის გამოდნობა. მაგრამ მარტო ამით როდი კმაყოფილდება აგიტატორი. ის მუშებს ესაუბრება შრომისა და ტექნოლოგიურ დისციპლინაზე, მასალებისა და ელექტროენერგიის მომჭირნეობაზე, ლითონის გამოდნობის გადიდებაზე. მისი აგიტაცია ქმედითია, შედეგიანი. მის ცვლაში ყველაფერი წესრიგზეა. ამიტომ არის, რომ ამხ. დიაკონიძის ცვლა პირველობას არ სთმობს.

საქარხნო პარტიული ორგანიზაცია (მდივანი გ. არევაძე) ხუთწლიანი გეგმის საკითხებზე სისტემატურად აწყობს ლექციებსა და მოხსენებებს. ამისათვის ქარხნის აქტივია გამოყენებული. მარტო უკანასკნელ ხანს 9 ლექცია ჩატარდა. ასეულობით მეტალურგი დამოუკიდებლად სწავლობს ხუთწლიანი გეგმის კანონს, ხოლო მუშათა ნაწილისთვის შექმნილია წრეები. ორგანიზებულობით, დისციპლინითა და სწავლის მაღალი ხარისხით გამოირჩევიან ის წრეები, რომლებსაც პროპაგანდისტები გ. გველესიანი, შ. თედოზაშვილი, გ. ჯაფარიძე და დ. ასათიანი ხელმძღვანელობენ.

ხუთწლიანი გეგმის საკითხების საფუძვლიანად შესწავლისათვის შექმნილია პარტიულ-სამეურნეო აქტივის სემინარი. უკვე ხუთი მეცადინეობა ჩატარდა. სემინარზე წაკითხული თემები ასეთია: სტალინური ხუთწლედის ძირითადი ამოცანები, მრეწველობა და ტრანსპორტი ახალ ხუთწლედში, სოფლის მეურნეობა ახალ ხუთწლედში, მოკავშირე რესპუბლიკების აღდგენისა და განვითარების ხუთწლიანი გეგმა და სხვ. მოხსენებები წაიკითხეს ინჟინრებმა გ. ვეფხვაძემ, მ. რაზმაძემ, გ. ხუციშვილმა, გ. მათირიშვილმა, ალ. ჩუბინიძემ.

კარგად მომზადდა და ჩატარდა თეორიული კონფერენცია თემაზე: „ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის ბოლშევიკური პოლიტიკის მნიშვნელობა ჩვენი ქვეყნის აქტიური თავდაცვისათვის მოსამზადებლად“. მოხსენებით გამოვიდა ინჟინერ-მექანიკოსი ლ. თუთარაშვილი. კონფერენციაზე განსაკუთრებული მომზადება და საკითხების საფუძვლიანი ცოდნა გამოამჟღავნეს ირ. ლორთქიფანიძემ, ს. ვაჭარაძემ, ქ. გველესიანმა, მარგარიტა ფუტკარაძემ, დ. კუხიანიძემ, შ. ფხაკაძემ, ვ. კალანდაძემ და სხვ.

ამჟამად კვლავ მზადდება თეორიული კონფერენცია თემაზე: „ლენინი და სტალინი სოციალისტური სახელმწიფოს შესახებ“. ეწყობა კონსულტაციები, შედგენილია თეზისები, შერჩეულია ლიტერატურა.

პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობით ხუთწლიანი გეგმის პროპაგანდას კარგად ეწევა საქარხნო პრესა. გამოცხადებულია საქარხნო კედლის გაზეთების კონკურსი ხუთწლიანი გეგმის საკითხების უკეთ გაშუქებისათვის.

მეტალურგები არა მარტო კარგად სწავლობენ ხუთწლედის საკითხებს, არამედ წარმატებითაც იბრძვიან მათს წინაშე მდგომი ამოცანების შესრულებისათვის. ქარხნის კოლექტივმა ნახევარი წლის დავალება დიდი გადაჭარბებით შეასრულა. გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 3.770 ტონა მაღალხარისხოვანი ლითონი, დაზოგილია 1,5 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია. პირველ კვარტალში ელექტროენერგიის მომჭირნეობით ხარჯვისათვის ქარხანამ მოიპოვა პირველი ადგილი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა.

ზესტაფონელი მეტალურგების პირობა ასეთია: ხუთწლედის პირველი წლის დავალება შეასრულონ 5 დეკემბრისათვის, გეგმის გადამეტებით გამოუშვან 5.500 ტონა ლითონი, დაზოგონ 2.100.000 კილოვატსაათი ელექტროენერგია.

ისინი თავიანთ სიტყვას შეასრულებენ.

პ. ჭიოკაძე
„კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტი

პოლიტიკური ეკონომიის მუდმივმოქმედი სემინარი

1945 წლის ოქტომბერში ჩამოყალიბდა პოლიტიკური ეკონომიის მუდმივმოქმედი სემინარი, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს ეკონომისტ პროფესორ-მასწავლებლებს პოლიტიკური ეკონომიის თეორიულ პრობლემებში გარკვევასა და კვალიფიკაციის შემდგომი ამაღლების საქმეში.

სემინარში გაერთიანებულია პოლიტიკური ეკონომიის 27 და დარგობრივი ეკონომიკის 38 მუშაკი — პროფესორები, დოცენტები, მასწავლებლები, ასისტენტები, ლაბორანტები და ასპირანტები. სემინარს ხელმძღვანელობს პროფესორი პ. გუგუშვილი.

ამა წლის 15 ივნისამდე ჩატარებულია 14 მეცადინეობა. მოსმენილია მოხსენებები პროფესორ ს. ბერაძისა—„იმპერიალიზმი, როგორც მონოპოლისტური, ლპობადი კაპიტალიზმი“; დოცენტ ა. ფანცხავასი—„მეურნეობის სოციალისტური სისტემა და მისი ეკონომიური კანონები“, დოცენტ ს. ქუთათელაძისა — „სახალხო მეურნეობის სოციალისტური დაგეგმვა“, დოცენტ ვ. ბახტაძისა—„სოციალიზმის დროს ღირებულების კანონის მოქმედება გარდაქმნილი სახით“, პროფესორ ნ. ქოიავასი — „საბჭოთა ფული და მისი ფუნქციები“, დოცენტ რ. მელაძისა — „საზოგადოებრივი შრომის სოციალისტური ორგანიზაცია“, დოცენტ ი. ბაჯაძისა — „სოციალისტური რეპროდუქცია სსრ კავშირში“, პროფესორ პ. გუგუშვილისა—„სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946-1950 წ. წ. ხუთწლიანი გეგმა“ და სხვ.

პრაქტიკამ ცხადჰყო, რომ სემინარი დიდად უწყობს ხელს ეკონომისტ პროფესორ-მასწავლებლებს აქტუალური თეორიული საკითხების დამუშავებაში.

მომავალ სასწავლო წელს სემინარს მოუხდება მეოთხე ხუთწლიან გეგმასთან დაკავშირებით მრავალ აქტუალურ საკითხზე მუშაობა. ყურადღება განსაკუთრებით გამახვილებული იქნება დარგობრივი ეკონომიკის (მრეწველობის ეკონომიკის, სოფლის მეურნეობის ეკონომიკის, ფინანსების, სტატისტიკის და სხვ.) პრობლემათა დამუშავებაზე.

სემინარი პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნებისათვის

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომმა პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნებისათვის მოაწყო მუდმივმოქმედი სემინარი. მეცადინეობა სწარმოებს თვეში ორჯერ.

სემინარის პირველი მეცადინეობა ჩატარდა 10 ივლისს. შესავალი ლექცია თემაზე—„საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრეები და მათი ექსპლოატაცია მეოთხე ხუთწლედში“ — წაიკითხა დოცენტმა ძოწენიძემ.

მორიგი სემინარი მოეწყობა დოცენტ სიმონგულოვის ხელმძღვანელობით. სემინარის თემაა: „მეოთხე ხუთწლიანი გეგმის ძირითადი ამოცანები“.

სემინარზე წაკითხული იქნება აგრეთვე ლექციები პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობის აქტუალურ საკითხებზე.

ჩაის ფოთლის დამზადება

(საქართველოს ჩაის ტრესტის 20 ივლისის ცნობებით)

რაიონები	წლიური გეგმის შესრულება პროცენტობით	ივლისის გეგმის შესრულება პროცენტობით	რაიონები	წლიური გეგმის შესრულება პროცენტობით	ივლისის გეგმის შესრულება პროცენტობით
ბათუმი	59,9	55,2	ქუთაისი	79,0	55,3
ქობულეთი	63,6	64,4	წყალტუბო	69,1	54,5
გალი	67,0	51,0	ტყიბული	54,5	42,9
ოჩამჩირე	80,1	98,5	ცხაკაია	61,7	74,1
გულრიფში	143,2	108,3	აბაშა	65,3	58,8
სოხუმი	116,0	90,0	გეგეჭკორი	61,9	59,7
გუდაუთა	71,8	79,4	ზუგდიდი	60,2	44,6
მახარაძე	64,3	70,7	წალენჯიხა	75,4	62,9
ჩოხატაური	70,2	65,7	ჩხოროწყუ	68,2	74,3
ლანჩხუთი	70,0	78,2	ხობი	70,2	77,4
სამტრედია	69,6	75,1	ჩხარი	76,7	41,3
წულუკიძე	75,9	75,7	ზესტაფონი	78,0	80,0

გალის, ოჩამჩირის, ლანჩხუთის, ზუგდიდისა და მახარაძის რაიონების ცნობები არასრულია.

საღნაღის რაიონის სოფელ ბოდბისხევის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობა პირველ განალეწ მარცვლეულს აბარებს წნორის მიმღებ პუნქტს.
ფოტო რ. აკოფოვისა

მთელი ძალები მოვახმაროთ მოსავლის უდანაკარგოდ აღებას! პირველი განალეწი მარცვლეულით მოვიხადოთ სახელმწიფო ვალდებულება!

მარცვლეულის მიმღები პუნქტი უკეთესად უნდა მუშაობდეს

რამდენიმე საათი დავყავით მიმღებ პუნქტში. დაუსრულებელ ნაკადად მიედინებიან პუნქტისაკენ მარცვლეულით დატვირთული ავტომანქანები, ურმები. მოწინავე კოლმეურნეობები სახელმწიფო ვალდებულებას პირველი განალეწი პურით ასრულებენ.

წნორის პუნქტს (დირექტორი მ. სხირტლაძე) დიდი ამოცანა აქვს დაკისრებული. მაგრამ აქ ყველაფერი რიგზე არ არის. საკმაო რაოდენობით არ აწოდებენ ვაგონებს, რაც აბრკოლებს ხორბლის დანიშნულებისამებრ გადაზიდვას. მიმღები პუნქტების მეოთხე საწყობთან (გამგე გოძიაშვილი) მისასვლელი გზა ატალახებულია. მისი შეკეთება დღემდე ვერ მოუხერხებიათ. აქ პურის გაცლის დროს ზოგჯერ მარცვალი ტალახში ცვივა და ფუჭდება.

კოლმეურნეობები საერთოდ მაღალხარისხოვან მარცვლეულს აბარებენ, მაგრამ არის გამონაკლისებიც. მაგალითად, ლაგოდეხის რაიონიდან ჩაბარებული 238 ტონა მარცვლიდან 25 ტონა ხელმეორედ გადასამუშავებელი იყო. ლაგოდეხის რაიონის სოფელ ბუდიონოვკის ბუდიონის სახელობის კოლმეურნეობის ჩამბარებელმა გ. ხოსროშვილმა თვითეულ სამტონიან მანქანაზე გზაში დაჰკარგა 33 კილოგრამი ხორბალი. ამის მიზეზი ისიც არის, რომ მარცვლის გადმოსაზიდავად არა აქვთ ტომრები, პურს პირდაპირ ავტომანქანაში ყრიან და გზაში ფანტავენ. სიღნაღის რაიონის სოფელ ძველი ანაგის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობიდან პუნქტში მიტანილი 3 ტონა მარცვლიდან 18 პროცენტი ნესტიანი იყო. სოფელ ტიბაანის კოლმეურნეობა „გლეხთა შრომამ“ და დაბა წნორის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ 7 პროცენტით დანაგვიანებული ხორბალი მიიტანეს მიმღებ პუნქტში.

სახელმწიფო ვალდებულების შესრულებას ზოგან აგვიანებენ. წითელწყაროს რაიონის სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობა „წითელმა ოქტომბერმა“ (თავმჯდომარე ი. თეთვაძე) და საბათლოს მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ა. ნერსესოვი) მოსავლის მეტი ნაწილი აიღეს, მაგრამ სახელმწიფოსათვის ერთი ცენტნერი მარცვალიც არ ჩაუბარებიათ. ბევრად უკეთესი მდგომარეობა არ არის სიღნაღის რაიონის სოფელ ვაქირის XVII პარტყრილობის სახელობის, წნორის „გლეხთა სინათლის“ და მაჩხაანის კიროვის სახელობის კოლმეურნეობებში.

საჭიროა ამთავითვე გადამჭრელი ზომები მივიღოთ პურის ჩაბარების კანონის დარღვევის აღსაკვეთად. დროულად უნდა მოვაწყოთ მარცვლეულის გაწმენდა და სახელმწიფოს ჩავაბაროთ მაღალი ხარისხის ხორბლეული.

შ. ჭოჭუა
„კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტი

რატომ ჩამორჩა მკა და ლეწვა?

მოსავლის აღების ტემპები საგარეჯოს რაიონში არადამაკმაყოფილებელია. 20 ივლისისათვის გეგმა შესრულებული იყო მხოლოდ 22,1 პროცენტით. ჭიანურდება ლეწვაც. ჩამორჩენის მიზეზია მხოლოდმხოლოდ შრომის მოუწესრიგებლობა და ძალების მთლიანად გამოუყენებლობა.

მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს.

სოფელ გიორგიწმინდის კოლმეურნეობა „განთიადში“ (თავმჯდომარე კ. სვანაძე) 35 ჰექტარი ქერი გათიბეს, მაგრამ დაზვინვა გააჭიანურეს. პურის ლეწვაც არ არის მოგვარებული — სალეწი მანქანა აქვთ, მაგრამ ტრაქტორის ნაწილების უქონლობის გამო ის უქმად დგას. ხეირიანი კალოებიც არ მოუმზადებიათ. ამ კოლმეურნეობის ყანაში ცუდად მუშაობს კომბაინერი ქერიაშვილი. 8 სამუშაო დღეში მან მხოლოდ 12 ჰექტარზე აიღო მოსავალი. მართალია, მტს-ის დირექციამ კომბაინერი შესცვალა, მაგრამ ვერც ამან უშველა საქმეს. კომბაინი ახლაც ვერ მუშაობს კარგად.

გიორგიწმინდის ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ი. ირემაშვილი) პურს ნელი ტემპით მკიან. ხელით მკაზე კოლმეურნეები ყოველთვის არ მუშაობენ. თავთავსაც იშვიათად კრეფენ. სხვადასხვა ნაწილის დაზიანების გამო კომბაინი ხშირად ჩერდება. ამის გამო კომბაინერი მ. ბუზიაშვილი დღიურ ნორმას სანახევროდ ძლივს ასრულებს. კომბაინს გაკეთებული არა აქვს მარცვალმჭერი. ამავე სოფლის ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე გ. მეზვრიშვილი) კალო მოუწყობელია. 20 ტონამდე ხორბლის საწყობში გადაზიდვა გააჭიანურეს. აღებული მოსავლის ნაწილი დასველდა და ჩახურდა. მოუგვარებელია მოსავლის დაცვა. კოლმეურნეობაში 25 ჰექტარი პური კომბაინით აიღეს, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ნამჯაში გაყოლებული იყო გაულეწავი თავთავების სულ მცირე 10 პროცენტი. ამისთვის ყურადღება არავის მიუქცევია. თავთავის აკრეფაზე ზოგჯერ მხოლოდ სამი ქალი მუშაობს. კოლმეურნეობა ჩამორჩა პურეულის ხელით აღებაშიც. ლეწვა ჯერ არ დაუწყიათ.

მოსავლის აღებაში ჩამორჩნენ აგრეთვე მანავის ვოროშილოვის, პატარძეულის კიროვის, მუღანლოს ბაგიროვის სახელობის და სხვა კოლმეურნეობები.

სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარების საქმეშიც ყველაფერი რიგზე ვერ არის. საგარეჯოს კოლმეურნეობა „ახალმა შრომამ“ პუნქტზე 4 ტონაზე მეტი ნედლი და უსუფთაო ხორბალი მიიტანა, რაც რა თქმა უნდა დაიწუნეს. ხორბლეულის გახმობა მოუგვარებელია საგარეჯოს ჟდანოვის სახელობის და ბერიას სახელობის კოლმეურნეობებშიც.

მოსავლის ასაღებად მთელი ძალების მობილიზაციისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მასობრივ-პოლიტიკურ და კულტურულ - საგანმანათლებლო მუშაობის დაყენებას. ეს ზოგან არ ესმით. ამით აიხსნება, რომ მთელ რიგ ბრიგადებსა და რგოლებში არ იღებენ გაზეთებს, არ გამოდის სავველე გაზეთები, არც მოძრავი კინო აქვთ.

დანაკარგებთან ბრძოლას რაიონში სათანადო ყურადღება არ ექცევა. თუ ამ საქმეს ადგილობრივმა ორგანიზაციებმა სერიოზულად არ მოჰკიდეს ხელი, შესაძლებელია მრავალი ასეული ფუთი პური დავკარგოთ. პური ჩვენი სახალხო სიმდიდრეა და მისი დაკარგვა დანაშაულია სახელმწიფოს წინაშე.

ვ. ციხისთავი
„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

დავაჩქაროთ პურეულის აღება

ახმეტის რაიონის ბევრ კოლმეურნეობაში მოსავლის აღებას აგვიანებენ. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ ახმეტის პირველი მაისის სახელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე ი. მამაგულაშვილი). აქ დროულად არ მოემზადნენ პურეულის აღებისათვის, რის გამოც მკა დაგვიანებით—10 ივლისიდან დაიწყეს. მომკილი პური დროულად არ იზვინება. ყურადღება არ ექცევა თავთავების აკრეფას. ეს ზრდის დანაკარგებს. ყოველდღიურად სამუშაოდ უნდა გამოდიოდეს 217 კოლმეურნე, ფაქტიურად გამოდის 120-150. კოლმეურნეობას ესაჭიროება 8 კალო, მზად აქვს მხოლოდ 4. აკლიათ ხანძრის საწინააღმდეგო მოწყობილობა.

ნაკლები ყურადღება ექცევა მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობას. ეს იმით აიხსნება, რომ სუსტად მუშაობს კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაცია და მისი მდივანი გ. კოტორლიშვილი. პარტიული ორგანიზაციის მდივანმა საჭიროდ არ ჩასთვალა კრებაზე განეხილა მოსავლის აღების მიმდინარეობის საკითხი.

ბევრი კომბაინერი კარგად ასრულებს სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებას. მაგალითად, ბესო ნახუცრიშვილი კომბაინს შეუფერხებლივ ამუშავებს და დღეში იღებს 15 ჰექტარს, ნაცვლად 8 ჰექტარისა. დიდი გადაჭარბებით ასრულებენ დღიურ ნორმებს კომბაინერები სოლომონ რამაზაშვილი და ნ. ნახუცრიშვილი.

ახმეტის მტს-ს კომბაინერთა კარგი კადრები ჰყავს. ამ კადრებით შეიძლებოდა კიდევ მეტის გაკეთება, ვიდრე ამჟამად კეთდება. მაგრამ მტს-ის პარტიული, სამეურნეო და პროფესიული ორგანიზაციები სათანადო ზომებს არ იღებენ მოწინავე კომბაინერთა გამოცდილების დასანერგავად, ჩამორჩენილთათვის დახმარების გასაწევად. მინდვრად მოგვარებული არ არის კულტურულ-მასობრივი მუშაობა კომბაინერთა, ტრაქტორისტთა და მტს-ის სხვა მუშაკთა შორის. რესპუბლიკურ გაზეთებსაც დროულად ვერ ღებულობენ. ცხადია, ყოველივე ეს არასასურველ გავლენას ახდენს მოსავლის აღების ტემპებზე.

კ. იარალოვი
„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

გათენებიდან დაღამებამდე

გათენებიდან გვიან ღამემდე მუშაობენ სოფელ ზერტის კოლმეურნეობაში (გორის რაიონი). დიდი და პატარა მინდვრად არის გასული. მოხუცები ახალგაზრდებს ასწავლიან პურის მკას. მოსწავლეები გულმოდგინედ ჰკრეფენ თავთავებს. კოლმეურნეობის მეორე და მეხუთე ბრიგადებმა ყველაზე ადრე დაიწყეს მოსავლის აღება. მცელავები ვ. მაზანაშვილი, ი. თანდილაშვილი, ი. დოლოშვილი დღიურ ნორმებს სისტემატურად გადაჭარბებით ასრულებენ. ამ ბრიგადებმა ერთ დღეს 11 ჰექტარზე აიღეს მოსავალი.

სოფელ ქვემო ნიქოზის კოლმეურნეობაში პირველ დღეს მოსავლის აღებაზე 138 კოლმეურნე მუშაობდა. მცელავები ნიკა მარიამიძე, რომან თარაშვილი, ს. ლონგურაშვილი დღიურ ნორმებს დიდი გადაჭარბებით ასრულებენ.

კარგი მოსავალია ქვემო რუთის კოლმეურნეობაში. აქ ჰექტარზე 9 ცენტნერის ნაცვლად 12 ცენტნერს იღებენ. კოლმეურნეობამ სახელმწიფოს ჩააბარა პირველი განალეწი 1,5 ტონა მაღალხარისხოვანი მარცვლეული.

მკას შეუდგნენ ხელთუბნის, ძევერის, შინდისის, საქაშეთის და სხვა კოლმეურნეობები.

კომბაინერთა შორის გაშლილია შეჯიბრება მოსავლის სწრაფად და უდანაკარგოდ აღებისათვის. კარგად მუშაობს კომბაინერი ვ. მანძულაშვილი. მან კომბაინ „კომუნარით“ კვარხითის კოლმეურნეობაში პირველ დღეს 12 ჰექტარზე აიღო მოსავალი.

მოსავლის აღების პირველმა დღეებმა დაგვანახვა, რომ ზოგან არ იბრძვიან დანაკარგების წინააღმდეგ. ქვემო სკრის და ახალხიზის კოლმეურნეობებში მომკილ ნაკვეთებში ჯერაც არ დაუწყიათ თავთავების აკრეფა. უფლისციხის კოლმეურნეობაში თავთავებს პირუტყვი სჭამს. კოლმეურნეობათა ხელმძღვანელები ყველგან არ იჩენენ სათანადო სიფხიზლეს და მზრუნველობას.

ამ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად ახლავე უნდა მივიღოთ საჭირო ზომები.

შ. ჩუბინიძე
„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

რკინიგზელის საკავშირო დღის წინ

დეპოელები—გარდამავალ დროშას ინარჩუნებენ

გურჯაანის საორთქლმავლო დეპოს კოლექტივი ერთი წელია გარდამავალ დროშას ინარჩუნებს უავარიო მუშაობისა და საწვავის ეკონომიისათვის.

ლუნინელი მემანქანეები საუკეთესო მაჩვენებლებით ხვდებიან რკინიგზელის საკავშირო დღეს. ორთქლმავლების გარბენის მეორე კვარტალის გეგმა შესრულებულია 114,1 პროცენტით. ორთქლმავლების მოცდენა გარეცხვისათვის შემცირებულია 4,5 საათით. ავადმყოფ ორთქლმავალთა რიცხვი მეორე კვარტალში შემცირებულია 3,2 პროცენტით. დაზოგილია 50.485 კილოგრამი საწვავი —6 პროცენტი.

საორთქლმავლო დეპოს კოლექტივმა ქუთაის-ტყიბულის რკინიგზის შტოს რეკონსტრუქციაზე 15 აპრილიდან 10 ივლისამდე 650 კუბმეტრი მიწის სამუშაო შეასრულა. დეპოელებმა ქუთაის-ტყიბულის რკინიგზაზე მიავლინეს 10 კაცისაგან შემდგარი ბრიგადა. სამუშაოს წარმატებით შესრულებისათვის ამიერკავკასიის გზის უფროსმა მადლობა გამოუცხადა და ფულადი ჯილდო გადასცა მემანქანე ნ. გელაძისა და ს. მელიქიძის ბრიგადებს.

დეპოელებს არც ზამთრისათვის მზადება დავიწყნიათ. ორი ორთქლმავალი საგზაო კომისიის მიერ მიღებულია ზამთარში სამუშაოდ. 1 ოქტომბრისათვის ყველა ორთქლმავალი გამაჯანსაღებელ შეკეთებას გაივლის.

ზამთრისათვის აუცილებელია შეკეთდეს დეპოს შენობის სახურავი, გამოიცვალოს ფანჯრების ჩარჩოები, ჩაისვას მინები, გატარდეს მექანიზაცია. დეპოელები იმედოვნებენ, რომ ამიერკავკასიის საორთქლმავლო მეურნეობის სამსახური ამ საქმეში დახმარებას გაუწევს გურჯაანელ რკინიგზელებს.

ვ. კილაძე

შვიდი თვის გეგმა—ექვს თვეში

თბილისის სპილენძსატკეცი ქარხნის კოლექტივმა საერთო პროდუქციის გამოშვების შვიდი თვის გეგმა 6 თვეში შეასრულა 126,3 პროცენტით. ხოლო ფურცლოვანი სპილენძის გამოშვებისა — 106 პროცენტით. გეგმასთან შედარებით შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 68,6 პროცენტით. განსაკუთრებული წარმატება ქარხნის კოლექტივმა ივნისში მოიპოვა. საერთო პროდუქციის გამოშვების თვიური გეგმა შესრულებულია 164,4 პროცენტით.

ქარხანაში დაწინაურდა გალვანოტექნიკური საამქრო (უფროსი შ. პანტურია), რომელმაც ივნისის დავალება 200, ხოლო შვიდი თვისა — 147,3 პროცენტით გაანაღდა. კარგი საწარმოო მაჩვენებლები აქვს სადნობ-საგლინავ საამქროს კოლექტივსაც. ამ საამქროს უფროსმა თ. პატარიძემ გამონახა სპილენძის ჩამოსხმის საქმეში ახალი რაციონალიზატორული გაუმჯობესება შეიტანა. ახლა აქ ნაცვლად 9 ზოდისა ერთდროულად ასხამენ სპილენძის 11 ზოდს. ამ წინადადების განხორციელების შედეგად ქარხანამ მიაღწია საწვავისა და ელექტროენერგიის ხარჯვის საგრძნობ ეკონომიას.

ინდივიდუალურ სოციალისტურ შეჯიბრებაში წინ მიდიან მდნობლები მ. დავითაშვილი, გ. მჭედლიშვილი და ვ. ბენდიანიშვილი. ივნისში კარგად იმუშავა მტკეცავთა ბრიგადამ, რომელსაც ნ. შომახია ხელმძღვანელობს.

კ. მჭედლიშვილი

აბრეშუმის მქსოველებს დროშა გადაეცათ

როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკა (დირექტორი ე. ღავთაძე, პარტბიუროს მდივანი ა. ქემოკლიძე, საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარე ო. პატარაია) ივნისის მუშაობის შედეგების მიხედვით პირველ ადგილზე გამოვიდა საბჭოთა კავშირში. ამ გამარჯვების აღსანიშნავად შაბათს, 20 ივლისს შესდგა ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა ხალხმრავალი მიტინგი. დამსწრეთ გამარჯვება მიულოცა და შემდგომ მუშაობაში წარმატება უსურვა პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს წარმომადგენელმა, აბრეშუმის მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. კოლესნიკოვამ.

აბრეშუმის მქსოველთა წარმატებებსა და ახალ ამოცანებზე ილაპარაკეს ფაბრიკის დირექტორმა ე. ღავთაძემ, ინჟინერმა ჩიქოვანმა, სტახანოველებმა ცქიტიშვილმა, არინუშკინამ და გულიაშვილმა.

მიტინგზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს სს რესპუბლიკის საფეიქრო მრეწველობის მინისტრი ამხ. რუხაძე, რომელმაც მიულოცა ფაბრიკის კოლექტივს საბჭოთა კავშირში პირველობის მოპოვება, აგრეთვე დამსწრეთა ყურადღება გაამახვილა სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა განუხრელად შესრულებაზე.

მიტინგმა მისასალმებელი დეპეშები გაუგზავნა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანს ამხანაგ კ. ნ. ჩარკვიანს და საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ ვ. მ. ბაქრაძეს.

კომუნისტი

სამშაბათი, 23 ივლისი, 1946 წ. № 146 (7519).

კარდელის გამოსვლა იუგოსლავიის სახალხო სკუპშჩინის სესიაზე

ბელგრადი, 17 ივლისი. (საკდესი). დღეს იუგოსლავიის პრემიერ-მინისტრის მოადგილემ ე. კარდელმა სახალხო სკუპშჩინის ორივე პალატის ერთობლივ სხდომაზე პასუხი გასცა დეპუტატების მეუშკოვიჩისა და ბრატიჩის შეკითხვებზე.

როგორც თავისი გამოსვლის დასაწყისში კარდელმა მოიხსენია, მარშალმა ტიტომ და სხვა ოფიციალურმა წარმომადგენლებმა უკვე განაცხადეს, რომ იუგოსლავიის მთავრობა არ ეთანხმება საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს ზოგიერთ გადაწყვეტილებას, პირველ რიგში იუგოსლავიასა და იტალიას შორის საზღვრის საკითხში. შემდეგ კარდელმა დაწვრილებით დაასაბუთა, თუ რატომ სთვლის იუგოსლავია ამ გადაწყვეტილებებს უსამართლოდ. „ყოველ შემთხვევაში, — განაცხადა კარდელმა, — იტალიაში გაცილებით მეტი იუგოსლავი რჩება, ვიდრე იტალიელები იუგოსლავიაში. და ამას უწოდებენ „ეთნიკურ საზღვარს" ან „ეთნიკურ წონასწორობას".

კარდელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ იუგოსლავიას სხვისაზე არაფერზე განუცხადებია პრეტენზია. იუგოსლავიას პრეტენზია არ განუცხადებია არც იტალიის ტერიტორიის სტრატეგიულ პოზიციებზე, თუმცა მას ამის მორალური უფლება ჰქონდა, თუ მხედველობაში მივიღებთ, რა ვერაგული თავდასხმა განიცადა მან იტალიის მხრივ. „ჩვენ არ მოგვითხოვია ეს, — ხაზგასმით აღნიშნა კარდელმა, — ვინაიდან ახალი იუგოსლავია აგებულია ხალხთა თვითგამორკვევისა და თანასწორუფლებიანობის ჭეშმარიტ დემოკრატიულ პრინციპებზე... ამიტომ ჩვენი სასაზღვრო მოთხოვნები წამოვაყენეთ სრული მორალური პასუხისმგებლობის ნათელი შეგნებით. ჩვენ ისეთი მოთხოვნები წამოვაყენეთ, რომ ისტორია ვერასოდეს ვერ დაგვდებს ბრალს იმაში, თითქოს ომში გამარჯვებული მდგომარეობა გამოვიყენეთ და ის მოვითხოვეთ, რაზედაც მორალური უფლება არ გვქონდა და რაც ჭეშმარიტი დემოკრატიის და ეროვნული თავისუფლებისა და თვითგამორკვევის პრინციპებს არ შეესაბამებოდა. ჩვენ პატიოსნად, და არა იმპერიალისტი ვაჭრებივით, წამოვაყენეთ ჩვენი მოთხოვნები, და ყოველ მტკაველ მიწაზე, რომელსაც ჩვენ მოვითხოვდით, ჩვენს ხალხს ასგზის აქვს უფლება. პარიზში ჩვენ გვეთხრეს, რაღას ჩივით, სამ მეოთხედ იულიის კრაინას გაძლევთო. ჩვენ კი ვუპასუხეთ და დღეს კვლავ ვუპასუხებთ: იუგოსლავიას არავინ არაფერს არ აძლევს. იულიის კრაინა ცამეტი საუკუნის მანძილზე იყო ჩვენი ხალხის მიწა-წყალი და მხოლოდ 25 წლის განმავლობაში იმყოფებოდა იტალიის იმპერიალიზმის უღელქვეშ".

შემდეგ კარდელმა დაახასიათა, როგორც საფუძველს მოკლებული, დასავლეთი მოკავშირეების თეზისი „ეთნიკური წონასწორობის" შესახებ. „ეთნიკური საზღვრის ცნება, — სთქვა მან, — შეიძლება მხოლოდ ერთი იყოს —საზღვარი კომპაქტურად დასახლებულ იტალიურ ტერიტორიასა და კომპაქტურად დასახლებულ იუგოსლავიურ ტერიტორიას შორის. ეს საზღვარი მიჰყვება ფურლანის დაბლობის ზღუდეს ჩრდილოეთისაკენ. ამ ხაზს მეტად თუ ნაკლებად ზუსტად აღნიშნავს ევროპის ყველა ეთნიკური რუკა, და ჩვენ მოვითხოვთ, რომ საზღვარი იუგოსლავიასა და იტალიას შორის დადებულ იქნას სწორედ ამ საფუძველზე.

გამოდიოდა რა ყველა ამ გარემოებიდან, — განაგრძო კარდელმა, — საბჭოთა კავშირი გადაჭრით და ნათლად უჭერდა მხარს იუგოსლავიის მოთხოვნებს. საბჭოთა კავშირი, რომელსაც არავითარი სხვა ტენდენცია არ ჰქონია, გარდა იმის სურვილისა, რომ მხარი დაუჭიროს თავის მოკავშირეს, რომელიც პატიოსნად და მამაცად იბრძოდა საერთო საკავშირო საქმისათვის, მის სამართლიან მოთხოვნაში — გააერთიანოს თავისი ხალხი თავის ჭერქვეშ, ენერგიულად გამოვიდა იუგოსლავიის აშკარად სამართლიანი საქმის დასაცავად. ამით საბჭოთა კავშირმა კვლავ ცხადჰყო, რომ მისთვის უცხოა ყოველგვარი იმპერიალისტური ტენდენციები და რომ მცირე ხალხებს შეუძლიათ სრული რწმენით მოელოდნენ მისგან მხარდაჭერას თავიანთი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის უზრუნველყოფაში.

სამწუხაროდ, ყველა ჩვენი მოკავშირე როდი გამოვიდა ასეთი პოზიციებიდან. აქ თავისი გამოხატულება ჰპოვეს ტენდენციებმა, რომლებსაც საერთო არაფერი აქვთ არც დემოკრატიასთან, არც თვით იულიის კრაინის მოსახლეობის ინტერესებთან, არც იმის სურვილთან, რომ ევროპის ამ ნაწილში მტკიცე საფუძველი ჩაეყაროს მშვიდობას".

კარდელმა აღნიშნა, რომ „ზოგიერთი მოკავშირე ისე უყურებს იუგოსლავიას, როგორც ყოფილ მტერს, და არა როგორც მოკავშირეს".

ფაშისტთა ნაშთები, იმპერიალისტი შოვინისტები იტალიაში, განაგრძო კარდელმა, ახლა ისტერიულ გამოსვლებს აწყობენ, რათა მსოფლიო დაარწმუნონ იმაში, რომ იტალიაში საშინელი ამბები მოხდება, თუ ტრიესტი და პოლა იტალიის ხელში არ იქნა. კარდელმა აღნიშნა, რომ იტალიელი იმპერიალისტები ამასვე აწყობდნენ წარსული მსოფლიო ომის ბოლოს, და განაცხადა, რომ მთელი ეს ხმაური შესაძლებელია მხოლოდ იმიტომ, რომ პოლიტიკა, რომელზეც მან ზემოთ ილაპარაკა, აქეზებს „აგრესიისა და ფაშიზმის ნაშთებს იტალიასა და მთელ ევროპაში".

„იუგოსლავიის მთავრობა, — განაგრძო კარდელმა, — ფიქრობს — ჩვენი ხალხები ვერ დაეთანხმებიან იმას, რომ მათ თავს მოახვიონ ასეთი „ზავი". ამიტომ იგი უარს ამბობს პარიზის იმ გადაწყვეტილებათა მიღებაზე, რომლებიც იუგოსლავიას ეხებიან".

დასასრულ კარდელი გადავიდა მომავალი საზავო კონფერენციის საკითხზე და განაცხადა, რომ „იუგოსლავია მზად არის მოლაპარაკებისათვის ოცდაერთი სახელმწიფოს საზავო კონფერენციაზე და გულწრფელად ეცდება გამონახოს შეთანხმებული გადაწყვეტილება. იუგოსლავიის მთავრობა ფიქრობს, რომ თუ საზავო ხელშეკრულება მიღებულ იქნა იუგოსლავიის მონაწილეობის გარეშე და იუგოსლავიის ნების წინააღმდეგ, იგი არც დემოკრატიული იქნება და არც სამართლიანი და ვერ შექმნის პირობებს ევროპის ამ ნაწილში მშვიდობის მშენებლობისათვის. გამოდის რა ამ გარემოებებიდან, მთავრობა იმედოვნებს, რომ თუ საზავო კონფერენციაზე გამოიჩენენ თუნდაც მეათედ იმ მოკავშირულ სოლიდარობასა და აგრესიის მოსპობის სურვილს, რაც ომის დროს არსებობდა, მაშინ გამოინახება შეთანხმებული გადაწყვეტილება იულიის კრაინისა და ტრიესტის საკითხში".

„დროა, — განაცხადა კარდელმა მოწონების ტაშში, — მოკავშირული სიტყვებიდან მოკავშირულ საქმეებზე გადავიდეთ. ამას ჩვენ იმ მიზნით კი არ ვამბობთ, რომ ზემოქმედება მოვახდინოთ მოკავშირეებზე, რათა მათ მხარი დაგვიჭირონ რაიმე დამპყრობლურ მოთხოვნებში. არა, ჩვენ მხოლოდ იმას მოვითხოვთ, რომ ყველა ჩვენმა მოკავშირემ შეასრულოს ის, რაც მათ ომის დროს გამოაცხადეს თავიანთ სამხედრო მიზნად, ხოლო ასეთია ფაშიზმისა და აგრესიის მოსპობა, მტკიცე მშვიდობის მშენებლობა და ყველა ხალხისათვის თავისუფლებისა და დემოკრატიული უფლებების მინიჭება".

მდგომარეობა იულიის კრაინის „ა" ზონაში

ბელგრადი, 20 ივლისი. (საკდესი). ტანიუგის კორესპონდენტის ცნობით, რეაქციონერმა მრეწველებმა იულიის კრაინის „ა" ზონაში ახალი იარაღი გამოიყენეს მუშების წინააღმდეგ საბრძოლველად. ადრიატიკის გაერთიანებული გემთსაშენებლო ვერფების დირექციამ 17 ივლისს მიიღო გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ „არეულობის" გამო ტრიესტისა და ტრჟიჩის გემთსაშენებლო ვერფებზე მუშაობა სწყდება. ამის შედეგად 9 ათასი მუშა უმუშევრად დარჩა. მაგრამ „არეულობის" მომიზეზება ყალბია, იმიტომ რომ არც ტრჟიჩსა და არც ტრიესტში არავითარი არეულობა არ ყოფილა. ტრჟიჩში გაფიცვის დამთავრების შემდეგ მუშები დაბრუნდნენ სამუშაოდ გემთსაშენებლო ვერფებზე, სადაც მათ შტრეიკბრეხერებისა და ფაშისტების შეიარაღებული ჯგუფი დახვდა. მუშებმა გადაჭრით მოითხოვეს, რომ შეიარაღებული ფაშისტები წასულიყვნენ. იმ დროს, როცა საფაბრიკო კომიტეტის დელეგაცია მოლაპარაკებას აწარმოებდა დირექციასთან, ერთ-ერთმა ინჟინერმა ბრძანება გასცა მუშაობა შეეჩერებინათ. ამრიგად ეს მხოლოდ დირექციის პროვოკაციული მანევრი იყო.

ასეთივე შემთხვევა მოხდა ტრიესტის გემთსაშენებლო ვერფებზე, სადაც მუშები ფაშისტების მოშორებას მოითხოვდნენ.

კობარიდის რაიონში საყოველთაო გაფიცვის დამთავრების შემდეგ საოკუპაციო ხელისუფალნი კიდევ უფრო უცერემონიოდ ეპყრობიან ანტიფაშისტებს.

ამ რამდენიმე დღის წინათ საოკუპაციო ჯარების და პოლიციის რაზმი კობარიდის ახლოს ერთ სოფელში ჩავიდა. პოლიციამ გაჩხრიკა კერძო ბინები და სახალხო ორგანიზაციების შენობები და დააპატიმრა სახალხო-განმათავისუფლებელი ომის ინვალიდი იანუზ რუპარი. იგი კობარიდში გაგზავნეს, სადაც მოსთხოვეს დაესახელებინა იუგოსლავიის საგუშაგოთა მიმართულება სადემარკაციო ხაზის გაყოლებით.

კანალის დაბლობში სლოვენები ამჟამად კიდევ უფრო დიდი ტერორის პირობებში ცხოვრობენ, ვიდრე ფაშიზმის დროს. მათ არა აქვთ არც ერთი კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოება, არც ერთი სკოლა, ყოველგვარი კრებები აკრძალულია. დაიწყო ანტიფაშისტების დაპატიმრება. დაპატიმრებულებს იტალიის შიდა რაიონებში გზავნიან და მათმა ოჯახებმა მათი ბედის შესახებ არაფერი იციან.

17 ივლისს 300-მდე ქალი შეიკრიბა ტრიესტის საოკუპაციო სამხედრო ადმინისტრაციის შენობის წინ ნიშნად პროტესტისა იმ მეთოდების წინააღმდეგ, რომლებითაც სამოქალაქო პოლიცია ტრიესტის საპყრობილეებში მყოფ ანტიფაშისტ ვეტერანებს ეპყრობა. ქალებმა დელეგაციის ხელით წერილობითი პროტესტი გაუგზავნეს სამოკავშირეო სამმართველოს წარმომადგენელს—სამოქალაქო საქმეთა ოფიცერს პოლკოვნიკ ბოუმენს და განაცხადეს, რომ მანამდე განაგრძობენ დემონსტრაციას სამოკავშირეო სამხედრო სამმართველოს წინ, სანამ ანტიფაშისტები განთავისუფლებული არ იქნებიან.

მერის განცხადება

ნიუ-იორკი, 20 ივლისი. (საკდესი). ფასების განუწყვეტელ ზრდასთან დაკავშირებით ამერიკის შეერთებულ შტატებში ფართოვდება ორგანიზებულ მუშათა გამოსვლები ხელფასის გადიდების სასარგებლოდ. ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ცნობის თანახმად, საწარმოო პროფკავშირთა კონგრესის თავმჯდომარემ მერიემ გამოაცხადა, რომ საწარმოო პროფკავშირთა კონგრესის აღმასრულებელმა კომიტეტმა გადაწყვიტა მოსთხოვოს ტრუმენს დაუყოვნებლივ მოიწვიოს მრეწველთა და მუშათა წარმომადგენლების კონფერენცია ხელფასის დაუყოვნებლივ გადიდების საკითხის განსახილველად. განცხადებაში აღნიშნულია, რომ უკანასკნელ ორ კვირაში ფასები 25 პროცენტით გადიდდა და რომ მუშათა ხელფასის მკვეთრი გაუფასურება, რაც ამით არის გამოწვეული, „საშინელ გაჩანაგებასა და სილატაკეს" უქადის მუშებს. მერეი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მთავრობამ დაარღვია თავისი დაპირება ეკონომიკის სტაბილიზაციის შესახებ, და აცხადებს, რომ კონფერენცია უნდა შეეცადოს დაწესოს ეკონომიური სტაბილურობის სათანადო გარანტიები. მან მოუწოდა აგრეთვე სრულიად ამერიკის „მყიდველთა გაფიცვისაკენ" და მოითხოვა, რომ კონგრესმა მიიღოს ეფექტიანი კანონი ფასებზე კონტროლის შესახებ.

მერეიმ პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ მას ფასებზე ეფექტიანი კონტროლის აღდგენის ნაკლები იმედი აქვს. მიცემულ შეკითხვის პასუხად მერეიმ განაცხადა, რომ საწარმოო პროფკავშირთა კონგრესს ამჟამად განზრახული არა აქვს დაპირება მისცეს გაფიცვებისაგან თავის შეკავების შესახებ.

საომარი მოქმედება ინდონეზიაში

ჰააგა, 18 ივლისი. (საკდესი). როგორც ანპის სააგენტო იუწყება, 17 ივლისს ინდონეზიაში საომარი მოქმედება გრძელდებოდა ბაიტენზორგის, ბანდუნგის, სემარანგისა და სურაბაიის რაიონებში.

ჰააგა, 21 ივლისი. (საკდესი). ინდონეზიიდან მიღებული უკანასკნელი ცნობებით, ინგლისისა და ჰოლანდიის ჯარები განაგრძობენ ბრძოლებს ინდონეზიელთა წინააღმდეგ ბატავიის, სემარანგის, სურაბაიისა და ბანდუნგის რაიონებში. ანპის სააგენტო გადმოგვცემს, რომ 19 ივლისს ბატავიის რაიონში ინგლისისა და ჰოლანდიის ჯარები ინტენსიურად უშენდნენ ინდონეზიელებს მდინარე ტიტარუმის დაბლობში.

სიდნეიში იავაზე წასასვლელად ემზადება ავსტრალიის გემი, რომელზეც ჰოლანდიის ჯარები იმყოფებიან.

პრეს-კონფერენცია პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის კომისიის წევრებთან ბერლინში

ბერლინი, 20 ივლისი. (საკდესი). აქ 18 ივლისს რადიოსახლის შენობაში შესდგა პრეს-კონფერენცია, რომელიც გამართეს პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის კომისიის წევრებმა. დაესწრო მოკავშირე ქვეყნების პრესისა და გერმანული პრესის ბევრი წარმომადგენელი. პრეს-კონფერენციას ხელმძღვანელობდა პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის აღმასკომის თავმჯდომარე უოლტერ სიტრინი. სიტრინის გარდა პრეზიდიუმში იყვნენ კომისიის წევრები ტარასოვი, ლეონ ჟუო, კამბერონი, ერბანი და სხვები.

უოლტერ სიტრინმა პრესის წარმომადგენლებს აცნობა, რომ პროფკავშირთა პარიზის კონგრესის გადაწყვეტილების საფუძველზე გერმანიაში გაიგზავნა კომისია, რომელმაც დაიარა ოთხივე ზონა და მოლაპარაკებას აწარმოებდა საკონტროლო ხელისუფალთა, პროფკავშირული ორგანიზაციებისა და გერმანული თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენლებთან. ამ კომისიამ მდიდარი მასალა შეკრიბა გერმანიაში არსებული მდგომარეობის შესახებ და წინასწარი მოხსენების სახით გამოსცა იგი. მოხსენების გამოქვეყნებასთან ერთად გამოქვეყნდა რეკომენდაციები მოკავშირეთა საკონტროლო ხელისუფალთათვის. ეს რეკომენდაციები ეხებოდა უმთავრესად ორ ძირითად საკითხს: დენაციფიკაციას (ე. ი. აპარატის წმენდას ფაშისტებისაგან) და პროფკავშირული მოძრაობის საკითხს. ამ რეკომენდაციებში აღნიშნული იყო, რომ საჭიროა გადიდდეს დენაციფიკაციის ტემპი და მოცულობა. კომისიამ აღნიშნა, რომ ყოფილ აქტიურ ნაცისტთა მნიშვნელოვანი რიცხვი კომისიის ჩასვლის მომენტში თავის წინანდელ პოსტებზე იყო საზოგადოებრივ ცხოვრებასა და მრეწველობაში. საოკუპაციო ხელისუფალთა ზოგიერთი წარმომადგენლის განცხადებაზე იმის შესახებ, რომ ნაცისტების დათხოვნა საზოგადოებრივ დაწესებულებათა და საწარმოთა მუშაობას დაარღვევდაო, კომისია აღნიშნავდა, რომ, მისი აზრით, არავითარი ნაცისტი მრეწველობაში არ შეიძლება შეუცვლელად ჩაითვალოს.

როგორც სიტრინმა შემდეგ განაცხადა, მოკავშირეთა ხელისუფლებმა გერმანიაში შეიმუშავეს სათანადო დირექტივები, რომლებიც ძირითადად ემთხვეოდა პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის კომისიის სურვილებს. მაგრამ, განაცხადა მან, ერთი საქმეა დირექტივების გამოცემა და სხვაა მათი ცხოვრებაში გატარება. კომისიის აზრით, აღნიშნულ დირექტივებს ოთხ სხვადასხვა ზონაში სხვადასხვანაირად განმარტავდნენ. ამის გამო, პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის ამჟამად გერმანიაში მყოფი კომისია ურჩევს მოკავშირეთა ხელისუფლებს დენაციფიკაციის საკითხში დაიცვან მაქსიმალურად შესაძლო ერთნაირობა. სიტრინის სიტყვით, გერმანიაში კომისიის ყოფნის დროს გერმანულმა პროფკავშირებმა წარუდგინეს მას გრძელი სიები იმ ნაცისტებისა, რომლებიც დღემდე განდევნილნი არ არიან საზოგადოებრივი და ეკონომიური ცხოვრებიდან. ეს სიები გადაეცა დენაციფიკაციის გერმანულ კომისიებს.

ამჟამად, განაცხადა სიტრინმა, ვერც კომისია და ვერც მოკავშირეთა ხელისუფალნი ვერ იტყვიან, რომ დენაციფიკაცია დამთავრებულია.

ამ დიდმნიშვნელოვანი ამოცანის წარმატებით დასამთავრებლად კომისიას საჭიროდ მიაჩნია, რომ მოკავშირეთა ხელისუფლებსა და პროფკავშირებს შორის უფრო მჭიდრო თანამშრომლობა დამყარდეს. დირექტივები დენაციფიკაციის გატარებაში პროფკავშირების ჩაბმის შესახებ დიდი ხნის გამოცემული არ არის, და მათ რეალურ შედეგებზე მსჯელობა ჯერ ადრეა.

დაამთავრა რა დენაციფიკაციის შესახებ თავისი აზრის გამოთქმა, სიტრინმა დასძინა, რომ საჭიროა აგრეთვე მხედველობაში მიღებულ იქნას ის გარემოება, რომ ნაცისტები, რომლებსაც ერთ ზონაში თანამდებობიდან ითხოვენ, კვლავ ჩნდებიან და ხელმძღვანელ პოსტებს იკავებენ სხვა ზონებში.

მეორე ძირითადი საკითხი, რომელსაც პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის კომისია იხილავს, არის გერმანული პროფკავშირების საკითხი. სიტრინმა აღნიშნა, რომ კომისიის აზრით, გერმანული პროფკავშირების წყობის ყველაზე მისაღებ ფორმად უნდა ჩაითვალოს სამრეწველო პროფკავშირთა ვერტიკალური წყობა, ესე იგი 15-18 დამოუკიდებელი პროფკავშირის შექმნა მრეწველობის სხვადასხვა დარგებში ყოველ ზონაში.

როგორც სიტრინმა შემდეგ აღნიშნა, კავშირი პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციასა და გერმანიის საკონტროლო საბჭოსთან არსებულ მუშახელის დირექტორატს შორის განხორციელდება იმ გზით, რომ პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის კომისიები პერიოდულად ინახულებენ დირექტორატს და მოლაპარაკება ექნებათ დირექტორატთან. განზრახულია, რომ კომისიები დირექტორატს ინახულებენ სამ თვეში ერთხელ. კავშირი პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციასა და გერმანულ პროფკავშირულ ორგანიზაციებს შორის დაცული იქნება პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის კომისიის გაგზავნისა და იმ ცენტრალურ ორგანოსთან საკითხების განხილვის გზით, რომელიც გერმანიის ოთხივე ზონის პროფკავშირების წარმომადგენელი იქნება.

შემდეგ სიტრინმა განაცხადა, რომ კომისიის განკარგულებაში წარდგენილი იყო ოთხი დოკუმენტი ოთხ ზონაში არსებული მდგომარეობის შესახებ. ამ დოკუმენტების ანალიზისათვის მნიშვნელოვანი დრო იქნება საჭირო. მხოლოდ შეიძლება ითქვას, რომ ამჟამად გერმანიაში პროფკავშირების 4,5 მილიონი წევრი ითვლება.

სიტრინმა ილაპარაკა გერმანიაში მოგზაურობით კომისიის მიერ მიღებულ შთაბეჭდილებებზე და განაცხადა, რომ გერმანიაში ნამდვილად დემოკრატიული პროფკავშირების განვითარება დელეგაციას უაღრესად მნიშვნელოვნად მიაჩნია გერმანიის დემოკრატიული განვითარებისათვის. პროფკავშირთა 70 მილიონი წევრი, რომლებსაც ჩვენ წარმოვადგენთ, სთქვა სიტრინმა, დაინტერესებულია გერმანული პროფკავშირების პოლიტიკით, ფორმითა და წყობის ხასიათით. ჩვენი დაკვირვების შედეგების შესახებ აღმასკომი ინფორმაციას მიაწოდებს მსოფლიოს ყველა პროფორგანიზაციას.

შემდეგ სიტრინმა პასუხი გასცა მთელ რიგ მიცემულ შეკითხვებზე.

„პროფკავშირული მოძრაობა მოითხოვს, რომ ფრანკოს სწრაფად და გადაჭრით მოეღონ ბოლო"

ლონდონი, 20 ივლისი. (საკდესი). გაზეთმა „დეილი ჰერალდმა" გამოაქვეყნა ბრიტანეთის ტრედ-უნიონთა კონგრესის მანიფესტი ფრანკოს წინააღმდეგ ესპანელი ხალხის ბრძოლის მეათე წლისთავთან დაკავშირებით.

„ფრანკისტული ესპანეთი, — ნათქვამია მანიფესტში — ამჟამად წარმოადგენს ევროპაში ფაშიზმის ნაბოლარების თავშესაფარს. ქედმაღლური მტრული განწყობილება, რასაც ფრანკო და მისი დამქაშები გაერთიანებული ერების ორგანიზაციისადმი იჩენენ, საფრთხეს წარმოადგენს მშვიდობისა და უშიშროებისათვის. პროფკავშირული მოძრაობა მოითხოვს, რომ ფრანკოს სწრაფად და გადაჭრით მოეღონ ბოლო. ინგლისის პროფკავშირული მოძრაობისათვის ცნობილია ის იზოლაცია, რომელშიც ესპანეთის ხალხი აღმოჩნდა თავის ახლანდელ მმართველთა მოქმედების შედეგად. ჩვენთვის აგრეთვე ცნობილია, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს ევროპის ხალხთა ცხოვრებისათვის იმ წვლილს, რომელიც ესპანელმა ხალხმა შეიტანა და შეუძლია შეიტანოს საერთო კულტურისა და ცივილიზაციის განვითარების საქმეში... ბრიტანეთის ტრედ-უნიონთა კონგრესი პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის შემადგენლობაში შემავალ სხვა ნაციონალურ ცენტრებთან ერთად აცხადებს თავის სრულ სოლიდარობას ესპანეთის ხალხთან, რომელიც, წარმოადგენს რა ფაშისტური აგრესიის პირველ მსხვერპლს, განაგრძობს ბრძოლას თავისი თავისუფლებისათვის.

ინგლისის პროფკავშირული მოძრაობა ფიქრობს, რომ მომავალ სხდომაზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ მთელი ცივილიზებული მსოფლიოს აზრი უნდა გამოთქვას იმ მხრივ, რომ ესპანეთის ახლანდელ მთავრობასთან დიპლომატიური ურთიერთობა გაწყვეტილ უნდა იქნას და რომ გენერალური ასამბლეა უნდა დაეხმაროს ესპანეთში დემოკრატიული წყობილების აღდგენას. ტრედ-უნიონების კონგრესის გენერალური საბჭო ამის თაობაზე წარუდგენს [illegible] გაერთიანებული ერების ორგანიზაციას".

„ჩვენ კვლავ მივმართავთ, — ნათქვამია მიმართვაში, — ინგლისის მთავრობას მოწოდებით — გასწყვიტოს დიპლომატიური ურთიერთობა ფრანკისტულ რეჟიმთან და ამრიგად გამოსთქვას თავისი ზიზღი იმ რეჟიმებისადმი, რომლებიც ხელისუფლებას სათავეში ექცევიან და ინარჩუნებენ მოტყუებისა და ძალის გამოყენების შედეგად".

სპარსეთის ყურეში გაიგზავნა ბრიტანეთის ორი კრეისერი

სტოკჰოლმი, 19 ივლისი. (საკდესი). სტოკჰოლმის რადიო გადმოგვცემს ინგლისურ გაზეთ „დეილი ტელეგრაფის" თეირანელი კორესპონდენტის ცნობას, რომლის თანახმადაც ბრიტანეთის ორი კრეისერი უახლოვდება ირანის წყლებს სპარსეთის ყურეში. ამ ცნობის თანახმად, კრეისერები „დაიცავენ ბრიტანეთის ინტერესებს სამხრეთ ირანში, თუ ამ ინტერესებისათვის რაიმე საფრთხე შეიქმნა ანგლო-ირანის ნავთის სარეწებზე ახალი გაფიცვების შემთხვევაში".

მთელი მსოფლიოს დემოკრატიული საზოგადოებრიობა მოითხოვს ფრანკისტული დიქტატურის ლიკვიდაციას

სოფია, 20 ივლისი. (საკდესი). ესპანელი ხალხისა და ესპანეთის დემოკრატიის დაცვის სახალხო ანტიფაშისტური კომიტეტის ინიციატივით 18 ივლისს მთელ ბულგარეთში გაიმართა ანტიფრანკისტული კრებები და მიტინგები.

პრაღა, 20 ივლისი. (საკდესი). პრაღის რადიოს ცნობით, 18 ივლისს პრაღაში გაიმართა დემოკრატიული ესპანეთის მეგობართა საზოგადოების კრება. კრებაზე მიღებულ იქნა საპროტესტო რეზოლუცია ფრანკოს ტერორის წინააღმდეგ.

საზოგადოების ყოველწლიური კრების რეზოლუცია შემდეგი სიტყვებით მთავრდება: „ესპანეთის თავისუფლების გარეშე შეუძლებელია უზრუნველყოფილ იქნას თავისუფლება ჩეხოსლოვაკიაში და დემოკრატია ევროპაში".

ბუქარესტი, 20 ივლისი. (საკდესი). გუშინ ბუქარესტის ცენტრში უნივერსიტეტის მოედანზე გაიმართა გრანდიოზული საპროტესტო მიტინგი ფრანკოს ფაშისტური რეჟიმის არსებობის წინააღმდეგ. მიტინგი მოწვეულ იქნა შრომის გენერალური კონფედერაციის, რუმინეთის დემოკრატ ქალთა ფედერაციისა და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების ინიციატივით.

მიტინგზე [illegible] ნათქვამია:

„ატლანტიკის ქარტიის მიხედვით და ხალხთა შორის მშვიდობის ინტერესებისათვის მოვითხოვთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციისაგან, რომ მან ფრანკო და მისი რეჟიმი კანონგარეშე გამოაცხადოს, წინადადება მისცეს ყველა მთავრობას გასწყვიტოს დიპლომატიური ურთიერთობა ფრანკოსთან და სცნოს ხირალის მთავრობა".

ხალხმრავალი ანტიფრანკისტული მიტინგები გაიმართა რუმინეთის სხვა ქალაქებშიც.

ნიუ-იორკი, 20 ივლისი. (საკდესი). როგორც გაზეთ „დეილი უორკერის" კორესპონდენტი გადმოგვცემს, ფრანკოს წინააღმდეგ ესპანეთის რესპუბლიკელთა ბრძოლის ათი წლისთავთან დაკავშირებით 18 ივლისს 350 ანტიფაშისტმა ესპანეთის დაუყოვნებლივ განთავისუფლებისათვის მებრძოლი კომიტეტის ხელმძღვანელობით პიკეტები მოაწყო ნიუ-იორკში ფრანკისტულ საკონსულოსთან. პიკეტების მონაწილენი წარმოსთქვამდნენ ლოზუნგებს: „გასწყვიტეთ ურთიერთობა ფრანკოსთან!", „ფრანკო უნდა წავიდეს!".

სამამულო ფრონტის ეროვნული კომიტეტის წინადადება

სოფია, 19 ივლისი. (საკდესი). ბულგარეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება, რომ დღეს გ. მ. დიმიტროვის თავმჯდომარეობით შესდგა სამამულო ფრონტის ეროვნული კომიტეტის სხდომა. სხდომაში მონაწილეობა მიიღეს სამამულო ფრონტში შემავალი პარტიების ხელმძღვანელებმა, აგრეთვე სახალხო კრების თავმჯდომარე კოლაროვმა, პრემიერ-მინისტრმა გეორგიევმა და მინისტრებმა.

გ. მ. დიმიტროვის მოხსენებისა და მის გარშემო გამართული დისკუსიის შემდეგ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ საჭიროა გამომუშავებულ იქნას კანონის პროექტი, რომელიც საფუძველი იქნება ბულგარეთის რესპუბლიკად გამოცხადებისათვის ხალხთან კონსულტაციის გზით, რაც უნდა მოხდეს ა. წ. 8 სექტემბერს, აგრეთვე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ა. წ. 27 ოქტომბერს დიდი სახალხო კრების არჩევნების ჩატარების შესახებ.

არჩეულ იქნა კომისია სამამულო ფრონტის ყველა პარტიის წარმომადგენელთა შემადგენლობით, რომელსაც დაევალა შეიმუშაოს გადაწყვეტილება და წარუდგინოს იგი მინისტრთა საბჭოს.

კანონის პროექტი საბოლოო სახით უნდა წარედგინოს პარლამენტს 23 ივლისს.

საფრანგეთის დამფუძნებელ კრებაში

პარიზი, 20 ივლისი. (საკდესი). დამფუძნებელი კრების 18 ივლისს შემდგარ სხდომაზე განიხილეს დალადიეს სადეპუტატო მანდატის საკითხი. დამფუძნებელი კრების დეპუტატთა არჩევნების სისწორის შემმოწმებელი მეათე ბიუროს წევრმა ბენუამ განაცხადა, რომ დამფუძნებელ კრებაში მიღებულია მრავალი პროტესტი დალადიესათვის დეპუტატის რწმუნებათა მინიჭების წინააღმდეგ. ბენუამ წინადადება შეიტანა დალადიეს სადეპუტატო მანდატი ცნობილ იქნას გაუქმებულად.

შემდეგ გამოვიდა დალადიე, რომელიც ორსაათიან სიტყვაში იცავდა მის მიერ გატარებულ მიუნხენის პოლიტიკას. მან დაუშვა მთელი რიგი საზიზღარი გალაშქრება საბჭოთა კავშირის მიმართ.

დამფუძნებელი კრების კომუნისტური ჯგუფის წარმომადგენელმა ფლორიმონ ბონტმა ოთხსაათიან სიტყვაში დაახასიათა დალადიეს გამცემლობა და მისი პასუხისმგებლობა იმ კატასტროფისათვის, რაც საფრანგეთმა განიცადა. ბონტმა განაცხადა, რომ დამფუძნებელი კრება დიდ საქმეს გააკეთებს, თუ გაუქმებულად სცნობს მიუნხენელ დალადიეს მანდატს. ხანგრძლივი კამათის შემდეგ თავმჯდომარემ ვენსან ორიოლმა დილის 4 საათზე გამოაცხადა კენჭისყრის შედეგები. 311 ხმით 132-ის წინააღმდეგ დალადიეს მანდატი დადასტურებულ იქნა.

როგორ მიმდინარეობს თურქეთის მეჯლისის არჩევნები

სტამბოლი, 21 ივლისი. (საკდესი). დღეს, დილის 8 საათზე, მთელს თურქეთში დაიწყო მეჯლისის დეპუტატთა არჩევნები. ისეთი დიდი ქალაქის ქუჩები, როგორიც სტამბოლია, ხმის მიცემის დილის საათებში არაჩვეულებრივად დაცარიელებულია. ხმის მიცემის წინა დღეს გარნიზონის სარდლობამ, ისარგებლა რა „საალყო წესებით", გამოაქვეყნა განკარგულება, რომლითაც მოსახლეობას, დასჯის მუქარით, ეკრძალება ქუჩებში ჯგუფ-ჯგუფად შეგროვება. ყველგან პატრულობენ შეიარაღებული პოლიციელები, ჟანდარმები და ჯარისკაცები. საარჩევნო უბნები, ისევე როგორც მუნიციპალური არჩევნების დროს, მოთავსებულია მოუხერხებელ ადგილებში: პირდაპირ ქუჩებში, სახლების ჭიშკრებთან და შესასვლელებში, ბაღებში, გარაჟებში და ა. შ. თვითეულ საარჩევნო უბანში, გარდა საარჩევნო კომისიის წევრებისა, არიან პოლიციის ორგანოების წარმომადგენლები. უბნებში არსად არ არის მოწყობილი დახურული კაბინები, რის გამო შეუძლებელია ხმის მიცემის საიდუმლოების დაცვა.

არჩევნების დღეს გამოსული გაზეთების ცნობით, თურქეთის მთელ რიგ რაიონებში უკვე წინა დღეს 21 ივლისს შესდგა „არჩევნები", რომლის შედეგად ხმების დიდი უმრავლესობა ვითომდა მიცემული იყო მმართველი პარტიის კანდიდატთა სასარგებლოდ. ხელისუფალთა ამ უკანონო მოქმედების აღმაშფოთებელ ფაქტებს იუწყებიან აგრეთვე ისეთი გაზეთები, როგორიც არის, მაგალითად, „ჯუმჰურიეთი".

გაზეთი აღნიშნავს, რომ ეგეის მაზრაში (დიარბექირის ვილაიეთი) არჩევნები დაიწყო 18 ივლისს, ე. ი. დაწესებულ ვადაზე 3 დღით ადრე. გაზეთ „ჯუმჰურიეთის" მეორე ცნობაში ნათქვამია, რომ „არეულობის თავიდან ასაცილებლად ბურსაში, მუდანიასა და ინეგელში გუბერნატორის განკარგულებით ერთი დღეღამით დაპატიმრებული იყო ყველა „საეჭვო" პირი".

ცნობილი თურქი მწერალი აკა-გიუნდუზი, ახასიათებს რა არჩევნების წინ თურქეთში არსებულ პოლიტიკურ ვითარებას და იქ გამეფებულ თვითნებობასა და ტერორს, განუმარტავს ამომრჩევლებს მმართველი სახალხო რესპუბლიკური პარტიის ფაშისტურ არსს. თავის სტატიაში, რომელიც მან გამოაქვეყნა გაზეთ „ენი თურქიეში" იგი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ თვით მმართველი პარტიის რიგებშიც კი არსებობს ტერორი და მის წევრებს ეშინიათ სხვა პარტიის წარმომადგენლებს დაელაპარაკონ პოლიციის რეპრესიების შიშით. აკა-გიუნდუზი შემდეგ აცხადებს, რომ „სახალხო-რესპუბლიკური პარტია ყოველგვარი თვალსაზრისის მიხედვით ფაშისტურია" და ეკითხება ამომრჩევლებს— „უნდა მისცენ თუ არა მათ ხმა ასეთ პარტიას?". უპასუხებს რა ამ კითხვაზე, ავტორი სწერს: „თურქი ხალხი ძირითადად დემოკრატიულია და ამიტომ ხმა არ უნდა მისცეს ერთ მუჭა ფაშისტებს. თუ ხალხი ხმას მისცემს, მას ესეც უნდა ეპატიოს, ვინაიდან იგი თვითონ კი არ აძლევს ხმას, არამედ ეს ხმები ძალით წართმეული იქნება".

ინდონეზიაში ჰოლანდიელთა ახალი მაშველი ძალები იგზავნება

ჰააგა, 21 ივლისი. (საკდესი). ანპის სააგენტო იუწყება, რომ 18 ივლისს უტრეხტის რაიონში გაიმართა ჰოლანდიის იმ ჯარების მანევრები, რომლებიც ინდონეზიაში უნდა გაიგზავნონ. მანევრებში მონაწილეობა მიიღეს ქვეითი ჯარის, საარტილერიო და სატანკო ქვედანაყოფებმა.

24 ივლისს, საღამოს 7 საათზე, მშრომელთა დეპუტატების ლენინის რაისაბჭოს აღმასკომის სხდომის დარბაზში (საბჭოს ქ. 134) მოწვეულია **საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომის XI პლენუმი.**

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

ლექციები

23 ივლისს, საღამოს 8 საათზე, საავიაციო ტექნიკუმის დარბაზში (კამოს ქ. № 70) შესდგება ამხ. **ფრიშენბერგის** ლექცია თემაზე: **„საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა".**

ბილეთების მიღება შეიძლება საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის სტალინის რაიკომის პარტკაბინეტში (25 თებერვლის ქ. № 2) და ლექციის დაწყების წინ ტექნიკუმის შენობაში.

23 ივლისს, საღამოს 6 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის მოლოტოვის რაიკომის პარტკაბინეტში (ხეთაგუროვის ქ. № 2) შესდგება ამხ. **სულეიმანის** ლექცია თემაზე: **„საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა".**

ბილეთების შეძენა შეიძლება რაიკომის პარტკაბინეტში.

თეატრებში

23 ივლისს: **აბუნდოვის სახელობის — „აშუღ ყარიბი". ფილარმონიის საზაფხულო თეატრი — „კორნევილის ზარები".**

კინოებში

23 ივლისს: **რუსთაველის სახელობის** და **კომკავშირელი** (საზაფხულო) — „დიდი ვალსი". **ოქტომბერი** — „სილვა". **დამკვრელი** (საზაფხულო) — „ორი მებრძოლი", (ზამთრის) — „ბალერინა". **კომკავშირელი** (ზამთრის) — „მასკარადი". **სპარტაკი** — „ვოლგა-ვოლგა". **ლუქსემბურგის სახელობის** — „მდიდარი საცოლე". **26 კომისრის სახელობის** (საზაფხულო)— „დავით გურამიშვილი", (ზამთრის)—„მეორე ქალი და მწყემსი".

საქართველოს ფიზიკური კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტი აწარმოებს მიღებას 1946-47 სასწავლო წელს ქართულ და რუსულ განყოფილებებზე

ინსტიტუტი ამზადებს ფიზიკური აღზრდის მასწავლებლებს ფიზიკური კულტურის უმაღლეს სასწავლებლებში, ტექნიკუმებსა და თვითმოქმედ ფიზკულტურულ ორგანიზაციებში სამუშაოდ, აგრეთვე ფიზკულტურის დარგში საორგანიზაციო-მეთოდური მუშაობის ხელმძღვანელად.

სწავლის ვადა 4 წელია

ინსტიტუტში მიიღებიან სსრ კავშირის ორივე სქესის მოქალაქენი 17-დან 35 წლამდე, რომელნიც ჯანმრთელნი არიან, აქვთ დამთავრებული საშუალო განათლება და წარმატებით ჩააბარებენ დაწესებულ გამოცდებს.

საშუალო სკოლის დამთავრებისას ოქროს ან ვერცხლის მედლით დაჯილდოებული პირნი, აგრეთვე ის პირნი, რომლებმაც ფიზკულტურის ტექნიკუმი წარჩინებული დიპლომით დაამთავრეს და ინსტიტუტში თავიანთი სპეციალობის მიხედვით შედიან, მიიღებიან **უგამოცდოდ.**

ყველა დანარჩენი მიიღება საკონკურსო გამოცდებით ფიზიკაში, ქიმიაში, ქართულ და რუსულ ენებში (წერა და ზეპირი), ლიტერატურაში, ფიზიკურ მომზადებაში სსრ კავშირის უმაღლესი განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული პროგრამების მიხედვით.

გამოცდა ფიზიკურ მომზადებაში სავალდებულოა ყველა შემომსვლელისათვის.

მშთ ნიშნოსნებს, აგრეთვე ყველა სახის სპორტის თანრიგთა მქონეთ უპირატესობა აქვთ ფიზიკური კულტურის ინსტიტუტში შემოსვლისას.

წარმატების მქონე სტუდენტები უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიით.

საბანაკო შეკრების პერიოდში ყველა სტუდენტის შესანახ ხარჯებს მთლიანად ინსტიტუტი გაიღებს.

ყველა სტუდენტი უზრუნველყოფილი იქნება სპეციალური ლიტერული კვებით ინსტიტუტის სასადილოში, სასპორტო ტანსაცმლითა და ფეხსაცმლით.

ინსტიტუტს აქვს საერთო საცხოვრებელი. საერთო საცხოვრებელში მცხოვრებ სტუდენტებს ეძლევათ ლოგინი და სხვა საყოფაცხოვრებო ნივთები.

ინსტიტუტში ჩარიცხვის განცხადება მიიღება 1946 წლის 31 ივლისამდე.

განცხადება შემოტანილ უნდა იქნას ინსტიტუტის დირექტორის სახელზე. განცხადებასთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნას:

ა) ავტობიოგრაფია, ბ) საშუალო სასწავლებლის დამთავრების ატესტატი (დედანი), გ) პასპორტი (უნდა წარმოადგინონ პირადად), დ) სამი ფოტოსურათი (ზომა: 3×4 სმ), ე) ცნობა სამხედრო ვალდებულებასთან დამოკიდებულების შესახებ (სამხედრო ვალდებულთათვის).

მისაღები გამოცდები — 1946 წლის 1-დან 20 აგვისტომდე.

მეცადინეობა იწყება 1946 წლის 1 სექტემბერს. **მისამართი:** ქალაქი თბილისი, 300 არაგველთა აღმართი № 2, ტელეფონი № 3—81—01.

მოქალაქე **ბიძინა აკაკის-ძე გოგოლაძემ,** მცხოვრებმა გოგებაშვილის ქ. № 5, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **ეთერ კონსტანტინეს-ასულ პაპავასთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის ორჯონიკიძის რაიონის მე-2 უბნის სახალხო სასამართლო.

ნადია და ვახტანგ მენთეშაშვილები ოჯახებით იუწყებიან **ნატალია ნიკოლოზის-ასულ ბოსტოღანაშვილის** გარდაცვალებას.

მეუღლე ილარიონ, შვილები ბორის, ვალენტინა, თამარ, რძალი ნინა გასვიანები იუწყებიან **მარიამ ქორქია-გასვიანის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 23/VII, 8 ს. გამოსვენება 24/VII, 6 ს. კლარა ცეტკინის, 31.

ოჯახი იუწყება **თამარ კონსტანტინეს-ასულ თოდრია-რუხაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 24/VII, 8 ს. გამოსვენება 25/VII, 7 ს. გოგოლის, 53.

პროფესორი ეფრემ ზაქარაია ოჯახით იუწყება დედის **სულიკო ბასას-ასულ წითლიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 25/VII, ქ. სოხუმში. გამოსვენება ორჯონიკიძის ქ. № 27.

ოჯახი იუწყება **ვარლამ ხიმონის-ძე ნეფარიძის** გარდაცვალებას.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, ხმდივნისა—3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდის—3-82-05, პარტიული ცხოვრებისა და საბჭოთა მშენებლობის—3-81-84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების—3-73-24, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო ტრანსპორტის—3-80-83, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის—3-80-84, მორიგისა და გამომშვების—3-81-65, გამომცემლობის—3-51-81, სტამბის დირექტორის—3-77 70.

ც. კ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 29. ტირაჟი 110,000. უე 10182